პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1936 წ. ოქტომბერი
პარიზი
№ 65
1936 — OCTOBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⠿ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

კრემლის კულისებში

რუსეთის ერთი დიდი ქალაქიდან ჩვენ გვწერენ შემდეგს: თქვენ ალბათ იცით ზინოვიევის ჯგუფის გასამართლება და დახვრეტა. ამის გარეშემო მთელ კავშირში დიდი მითქმა-მოთქმაა, განსაკუთრებით კი ამ ჩვენს ქალაქში. არავის არ სჯერა გამოქვეყნებულ ბრალდებათა სიმართლე და ეძებენ მათ ნამდვილ სარჩულს. პარტიის ზედა-ფენები მეტათ დაფრთხალია, ენაჩავარდნილივით დადიან, მათ შორის სრული პანიკაა. სრულიად სარწმუნო წყაროებიდან შემიძლია გაცნობოთ საქმის ვითარება.

აქ არავისათვის საიდუმლოება არ არის, მით უფრო სტალინისათვის ის, რომ ერთხელ მონოლიტური კომუნისტური პარტია დღეს განიცდის დიდ შინაგან იდეიურ არევ-დარევას. ამ ერთათ ერთ ლეგალურ პარტიაში გაჩნდა მრავალი არალეგალური დაჯგუფებანი, ერთიმეორეზე დამოუკიდებელნი და გაერთიანებულნი მხოლოდ დღევანდელი პიროვნული რეჟიმის სიძულვილით. ზოგი ამათგანი ისე გათამამდა, რომ პროცესის წინა თვეებში შუამდგომლობა აღძრეს ც. კ-ში კრუპსკაიას და სხვა საარქივო ბოლშევიკების საშუალებით დატყვევებული ძველი ბოლშევიკების სასარგებლოთ და მოითხოვეს «ლენინის თანამებრძოლთა» რეაბილიტაცია. ამ ტალღამ ჩაითრია ვოროშილოვიც და მან ურჩია სტალინს მათი მდგომარეობის შემსუბუქება. პარტიულ და უპარტიო ახალგაზდობაში მეტათ გაძლიერდა ოპოზიციური სულისკვეთება; მათ შორის, რასაკვირველია, არ არის იდეიური ერთობა, საერთო იდეოლოგია, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. აკლია შეკავშირება და საერთო ხელმძღვანელობა.

სტალინს, როგორც პარტიის ხაზაინს, ყოველი მხრიდან მოდიოდა ალარმისტული ცნობები. ის დაფრთხა, ვაი თუ ამ უკმაყოფილო პარტიულთ ძველი ბოლშევიკები ჩაუდგენ სათავეშიო და გადასწყვიტა მათი თავიდან მოშორება. ამ პლანის სეკრეტში იყვენ მხოლოდ სამი პირი: სტალინი, კოგანოვიჩი და ორჯონიკიძე. ამათი მუშაობის კურსში სხვა არავინ იყო, არც მთავრობა, არც ც. კ. მთავრობის წევრებმა ის გაიგეს გამოცხადების შემდეგ. მხოლოდ ვოროშილოვს გაეგო წინა დღით და გაქცეულიყო სტალინთან, მოხსენი პროცესიო. სტალინმა უარი უთხრა და ისიც გაჩუმდა.

გამოძიება არავითარი არ ყოფილა, არც რაიმე საბუთები შეუკრებიათ, არც მოწმეები წამოუყენებიათ. მთელი მომზადება ჩაატარეს სამ-ოთხ დღეში სასწრაფოთ, რომ პარტიის პროტესტი და მღელვარება თავიდან აეცილებიათ. იხმარეს სულ უბრალო მეთოდი. თვითეულ ბრალდებულს ცალ-ცალკე წაუყენეს ულტიმატუმი: ან იცანი ბრალდება და ამით სიცოცხლე შეინარჩუნეთ ან და დაიხვრიტებით გეპეუს განჩინებითო. თან უმატებდენ—ყველა დანარჩენებმა აირჩია პირველი და თქვენ რაღას ყოყმანობთო. ასე გასტეხეს 16 პირი და ხელი მოაწერიეს ყველა ბრალდებაზე, იმ იმედით რომ «ამხანაგები» არ მოგვატყუებენო. ვერ გასტეხეს ტომსკი და მან ჩეკისტის ტყვიას თავისი ტყვია არჩია. ვერ გასტეხეს დანარჩენი ორი ბრალდებული, ორივე ქართველი, რომელთაც კატეგორიული უარი განუცხადეს ჩეკისტებს და ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი არჩიეს. ერთის გვარია მგელაძე (ვარდინი), ხოლო მეორესი ვერ გამოვარკვიე.

დასავლეთ ევროპის ზოგ კომპარტიამ ენერგიული პროტესტი განუცხადა კომინტერნს ძველი ბოლშევიკების დახოცვის გამო. როცა ეს მოახსენეს სტალინს, მას მოუვიდა ნერვიული კრიზისი, პირველათ მის სიცოცხლეში, და ისტერიულათ ყვიროდა: დახვრიტეთ ყველა, ყველაო... ვერავინ გაიგო ვისზე ამბობდა, რუსის თუ უცხოელ კომუნისტებზე.

ვოროშილოვის სახელი მიაკერეს პროცეს სპეციალურათ იმიტომ რომ ის დაეშინებიათ და დაენახვებიათ რა ხალხისათვის ის შუამდგომლობდა. ხმა გაავრცელეს რომ ასეთი პროცესები პროვინციაშიაც იქნებაო, განსაკუთრებით გრანდიოზული თფილისშიო. ზოგის აზრით ასეთ ხმას ავრცელებენ განგებ პარტიულების დასაშინებლათ. მდგომარეობა მეტათ მწვავეა ყველა წრეში. ფიქრობენ სტალინის პრესტიჟი ასწიონ მისი უზომო ქებით. ამ სერვილიზმის მთავარი ორგანიზატორია აკულოვი, რომლის პირით ლაპარაკობს თვით სტალინი. ის უგზავნის ბრძანებას ამა თუ იმ ბოლშევიკს წავიდეს მიტინგზე თუ საჯარო სხდომაზე და შეაქოს დიქტატორი. თან აყოლებს დაწერილ სიტყვას, რითაც უნდა იქნას მოხსენებული ის.

საერთო აზრია, რომ ასეთი ტერორისტული ატმოსფერა და საერთო შიშიანობა არ ყოფილა რუსეთში ივანე მრისხანეს შემდეგ. თვით სტალინი, ამ დაშინების ორგანიზატორი, განიცდის შიშს, დაკარგული აქვს სულიერი წონასწორობა და შეპყრობილია დევნის მანიით.

ამ სისხლიანი ამბების შედეგია სხვათა შორის ის, რომ ყოველივე საკონსტიტუციო ილიუზია გაქრა, მასზე აღარავინ ლაპარაკობს, ის არავის სჯერა. თუ ვინმეს კიდევ სჯეროდა ის წინეთ, ახლა ნანობს, რა ბრიყვი ვიყავი სტალინს დაუჯერეო. ცნობილი რუსული ანდაზა—ბრიყვისთვის კანონი არ დაწერილაო, ხალხმა შეაბრუნა ასე: სტალინისთვის კანონი არ დაწერილაო...

◆

მოსკოვის პროცესი

მოსკოვის პროცესის და 16 კაცის დახვრეტის შესახებ წერა ევროპის პრესაში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა.

ყველას აინტერესებს ამ პროცესის მოწყობის ნამდვილი მიზეზი და მისი მთავარი მიზანი.

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა გაზეთები ბევრს სწერდენ იმის შესახებ, რომ საეჭვო ელემენტები ბლომათ არიან მოკალათებული, როგორც კომუნისტურ პარტიის რიგებში, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დაწესებულებებში. ეს საეჭვონი და მტრულათ განწყობილნი იმალებიან ყოველგან: პარტიის შიგნით, პროფესიონალურ კავშირებში, კომსომოლთა შორის, კომისარების, წითელ გენერლების და სხვა დიდი მოხელეების ირგვლივ და ჩუმათ აწარმოებენ მრღვეველ და მოღალატურ მუშაობასო. და ასეთ მოვლენას ადგილი ქონია არა მხოლოთ მოსკოვში და პეტროგრადში, არამედ საბჭოთა რუსეთის ყველა სხვა ადგილებშიდაც.

წინეთ, როცა სტახანოვური მოძრაობა საბჭოთა კავშირში მოდათ იყო შემოღებული, თუ ვინმე დასწერდა, რომ ეს მოძრაობა არ არის პოპულიარული მუშათა შორის და მათ დიდ ოპოზიციას და უკმაყოფილებას იწვევსო, ამას ბოლშევიკები სიცრუეთ და ცილისწამებათ სთვლიდენ.

ეხლა კი ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო —«პრავდა» (№ 228) ვეებერთელა ფელეტონით თვითონ გვამცნობს, რომ რუსეთში სოფლათ ყოველგან ხდება კოლხოზების საუკეთესო ხელმძღვანელ—სტახანოველების მკვლელობა. ქალაქებში კი გამოჩენილ სტახანოველ მუშებს სასადილოებში საჭმელში საწამლავს უყრიან და სწამლავენო.

იმავე «პრავდა»-ს თქმით უკმაყოფილებას ადგილი ქონია აგრეთვე საქართველოში და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში. საქართველოში მენშევიკები და მათი არალეგალური ორგანიზაციები თურმე არ გამქრალან და მტერთან შესაფერ ბრძოლას აწარმოებენ.

მაგრამ ყველა ეს უკმაყოფილონი და ბოლშევიკურ რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლნი, ალბათ განსაზღვრული მიზმით, ტროცკისტ-ზინოვიეველებათ არიან მონათლული.

საბჭოთა რუსეთის ფარგლებში ოპოზიციონერობა და უკმაყოფილება ბოლშევიკებმა ვერ მოსპეს ვერც ციხეებით, ვერც ციმბირში გადაგზავნით და ათასნაირ სხვა საშუალებებით. ბრძოლა მათ წინააღმდეგ ევროპაშიდაც სწარმოებს. არ ცხრება აგრეთვე ტროცკი, დიქტატორის მიერ საზღვარ-გარეთ გაძევებული, და სტალინის კამარილიის წინააღმდეგ ისიც მკაცრ კამპანიას ეწევა.

კრემლის ბატონებს ეშინიათ უკმაყოფილებამ და ოპოზიციონერობამ კომუნისტთა შორის უცხოეთშიაც ნიადაგი არ მოიპოვოს. და აი ეხლა «დიდი ბელადის» ბრძანებით და მოთხოვნით ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს სასტიკ ზომებს მიმართონ: ზოგი მათი მოწინააღმდეგენი ფიზიკურათ და მორალურათ გაანადგურონ, დანარჩენი ამათი მიმდევარნი კი დააშინონ და მათი რიგები დაქსაქსონ.

ზინოვიევს და კამენევს არ აკმარეს ის, რომ მათ წარსულში არა ერთხელ მოუნანებიათ თავიანთი ცოდვები, უღვიარებიათ შეცთომები და მუცელზე ხოხვით პატიება უთხოვნიათ.

ეხლა ზინოვიევს და კამენევს მიუმატეს ტროცკიც, ეს უკანასკნელი მთავარ მომქმედ პირად დასახეს და ამათთან ერთათ საბრალდებულო სკამზე 13 სხვაც დასვეს.

რუსეთში სხვადასხვა მიზნით ბოლშევიკების მიერ ბევრი პროცესი ყოფილა შეთითხნილი. მაგრამ უკანასკნელ მოსკოვის პროცესმა თავისი აშკარა ცინიზმით ყველა წინანდელთ გადააჭარბა. ევროპის საზოგადოებრივი აზრიც, გარდა, რასაკვირველია, კრემლის მონა-მორჩილ აგენტებისა ამ პროცესს შესაფერისი აღშფოთებით შეხვდა. მაგრამ მხოლოთ უბრალო აღშფოთება სათანადო დასკვნების გაუკეთებლათ ხომ პატარა ამბავია.

ევროპიელებს საერთოთ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის და ვითარების ბევრი არაფერი გაეგებათ. ზოგი მათგანი კი, როგორც, მაგალითად, ბაუერი და სხვა ბოლშევიზანები, რომელნიც ამ ქვეყნის ცოდნას იჩემებენ და მის დამცველებათ გამოდიან, ეხლა ხელებს ფართეთ შლიან და გაკვირვებას გამოსთქვამენ. ესენი გაკვირვებული არიან, რომ ლენინის ახლო თანამშრომელნი, მასთან ერთათ პარტიის დამაარსებელნი, ბოლშევიზმის იდეოლოგები და თეორეტიკოსები, ოქტომბრის რევოლიუციის მომწყობნი და სამოქალაქო ომის გამჩაღებელნი, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელნი და ხელმძღვანელნი ერთმანეთს ტალახს ესვრიან, ცილს სწამებენ, სახელს უტეხენ, მოღალატეებათ, უსინდისოთ, ორპირათ, ცრუთ, გაიძვერათ სთვლიან და ფაშისტების აგენტებს უწოდებენ. ისინი კითხულობენ, ნუთუ მართალია ის, რაც ბრალდებულებმა სასამართლოს წინაშე აღიარეს, და თუ ეს მართალი არ არის, ნუთუ ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, გეპეუმ მათ ყველაფერი ძალით და დაშინებით ათქმევინა. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში რა წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ მათ მორალზეო.

ევროპიელ ბოლშევიზანების ვითომდა გულუბრყვილობას ზედ ემატება «სოც. ვესტნიკის» თანამშრომელის—აბრამოვიჩის მიერ ამერიკის აღმოჩენა. თუ სასამართლოს არ დაუჯერებთ, ამბობს ის, თუ ყველა წამოყენებული ბრალდებანი გამოგონილია, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხელთ უპყრია ისეთ ხალხს, რომელნიც ცრუ ბრალდებებს თხზავენ, ტენდენციურ პროცესებს აწყობენ და მართმსაჯულების ფალსიფიკაციას ახდენენო.

მაგრამ მოსკოვის პროცესით ამ გაკვირვებულთ ავიწყდებათ, რომ ლენინის «ახლო და ინტიმიურ თანამშრომლებმა» ლენინთან ერთათ და მისი მეთაურობით შექმნეს ის სისტემა და გამოიმუშავეს ის სპეციფიური მორალი, რომლის წუმპეში დღემდის ბევრი მათგანი ჩაიხრჩო და მომავალშიდაც არა ერთ და ორს მათგანს იგივე ბედი მოელის.

ბევრს უკვირს, რომ ზინოვიევ-კამენევს პროცესის დროს თავი ღირსეულათ ვერ ეჭირათ, თავიანთი პიროვნება ასეთნაირათ დაიმცირეს და მათ ბრალმდებლებს თავისი მხრივ შესაფერისი და საკადრისი ბრალდებანი არ წაუყენეს. სასაცილოა, როცა ასეთ მათ საქციელთან დაკავშირებით იგონებენ საფრანგეთის რევოლიუციის გმირებს—დანტონს და კამილ დემულენს. ან და, თუ გინდ, როგორ შეიძლება ამ ხალხს შეადარო საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულათ, ამაყურათ და ღირსეულათ დაღუპულნი და მტრის ბოროტების აშკარათ მხილებელი მებრძოლნი.

ზინოვიევ-კამენევი დიდი ხანია სულიერათ მკვდარი იყვნენ. გასული წლების განმავლობაში ჩეკისტებმა მათში ჩაკლეს ყოველივე ნებისყოფა, გაბედულება და თავმოყვარეობა. სასამართლოში უკანასკნელათ ისინი სხვებთან ერთათ მოიყვანეს და ალაპარაკეს, რაც სტალინს და მის დამქაშებს უნდოდათ. ლაპარაკობდენ უდარდელათ, თავის შეუწუხებლათ არა იმას, რაც მათი რწმენა იყო, არამედ იმას, რაც კრემლის ბატონებს მოუხდებოდათ. ამისათვის ზინოვიევ-კამენევს და სხვებს ფიზიკური სიცოცხლის შენარჩუნება შეპირდენ. ამათაც მეტი აღარაფერი აინტერესებდათ, არც მათი წარსული, არც სიამაყე და ღირსება. მაგრამ, როცა ბრალდებულთ ყველაფერი ათქმევინეს, ხელისუფლებამ მერმედ მისი დანაპირებიც უკან წაიღო, კიდევ ერთხელ და საბოლაოთ ისინი მოატყუა და მიახვრიტა. ეს არის საბჭოთა ხელისუფლების არა მხოლოთ ბარბაროსობა, არამედ უაღრესი ამორალობის კულმინაციური წერტილი.

მართალია, მოსკოვის პროცესმა ევროპის საზოგადოებრივი აზრის უმეტესობის აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ რით აიხსნება ის, რომ თვით რუსეთში, სადაც მთელი ძალაუფლება ბოლშევიკების ხელშია, ბოლშევიზმის მამამთავართ და დამაარსებელთ ქურდებს, ავაზაკებს, ავანტიურისტებს, ბანდიტებს, მკვლელებს, ფაშისტებს უწოდებენ, მათ ძალით, მოტყუებით სიცრუეს ალაპარაკებენ, ბოლოს მათ ჰკლავენ და ყველაფერი ეს არა თუ აღშფოთებას არ იწვევს, არამედ მისალმებების, მანიფესტაციების, სიამოვნების და სიხარულის საგანი ხდება?

ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოთ მიტომ, რომ თვით ბოლშევიზმი რუსეთში იდეიურათ და მორალურათ გამოიფიტა, გადაგვარდა და გაკოტრდა.

ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია ჩვენი გაზეთი ფურცლებზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება დღეს ეყრდნობა სახელმწიფო აპარატებში, თუ ათასნაირ სხვა დაწესებულებებში მომუშავე ჩინოვნიკობას. ამ მუშაობაში განსაკუთრებით ახალგაზდობა ჩააბეს და ის ძველებს დაუპირდაპირეს და წაკიდეს. ახლებს ძველების ტრადიცია, ძველების აზრები და იდეალი არ აინტერესებს. სოციალიზმის საკითხები მათ აღარ იპყრობს. მათ უფრო სხვადასხვა ფორმის სპორტი და სამხედრო ორგანიზაციები მოსწონთ და მათ ეტანებიან. მხედრობა ნამდვილ არისტოკრატიას წარმოადგენს რუსეთში. ყოველნაირ პრივილეგიებითაც ის სარგებლობს. სახელმწიფო ბიუროკრატია და სამხედრო არისტოკრატია ეხლა რუსეთში ყველაფერი და ყოვლის შემძლებელია. მათთვის ბოლშევიკების მიერ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა სასიხარულო ამბავია.

რუსეთში დიდი სისწრაფით ხდება ევოლიუცია და ეს უკანასკნელი მიიმართება არა მარცხნივ დემოკრატიისაკენ, როგორც ამას წინეთ ხშირათ გვიმტკიცებდენ ევროპიელი, თუ რუსი ბოლშევიზანები.

მხოლოთ ეხლა მიხვდა აბრამოვიჩი: «განცვიფრებული მსოფლიო რწმუნდება, რომ ყოველივე წარმოდგენა რუსეთის მშვიდობიან შრომის ქვეყნათ გარდაქმნაზე დაყველა იმედები მისი დემოკრატიულ ევოლიუციისა ყალბია და ილუზიას წარმოადგენს, რომ რუსეთი ჯერ კიდევ სისხლიან ქაოსს და მასიურ ტერორს ვერ გასცილებია»—ამბობს ის («სოც. ვესტნიკ» № 16).

იქვე ამას დანი უმატებს: «სტალინი ცდილობს მოსპოს უკანასკნელი შესაძლებლობა, რომ ახლათ გამოცხადებული კონსტიტუცია გადაიქცეს იარაღათ საბჭოთა რუსეთის მშვიდობიან განვითარებისათვის დემოკრატიის და სოციალიზმისაკენ»-ო.

19 წლის ბოლშევიკების დიქტატურა მშრომელ მასებზე უნდა დამთავრებულიყო მოსკოვის პროცესის უმზგავსოებით, რომ ამ ხალხს გაეგო მათი შეხედულების სრული უსუსურობა და უნიადაგობა.

დანმა ამას წინეთ ბოლშევიკების კონსტიტუცია და მათი მომავალი «პარლამენტი» რუსეთის ცხოვრების უდიდეს მოვლენათაც კი დასახა. ნამდვილათ კი ბოლშევიკების პროექტით «პარლამენტი», მათი უმაღლესი საბჭო არაფერია, ყველაფერია ამ საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც შემდგარი იქნება სტალინის მონა-მორჩილი ხალხისაგან, რომელთა შორის დიქტატორმა, შეიძლება, თავმჯდომარის როლი არ იკისროს, ეს ზოგ რამეში მას ხელს შეუშლის, მაგრამ ფაქტიურათ ის იქნება იქ ბატონი და ბრძანებელი.

სტალინმა ახალი კონსტიტუცია გამოაცხადა სწორეთ მიტომ, რომ ის მას უნდა გამოიყენოს, როგორც იარაღი მისი პირადი დიქტატურის ბაზის გასაფართოებლათ და გასამაგრებლათ.

ბოლშევიკების დიქტატურა რუსეთს ფაშიზმ-ბონაპარტიზმისაკენ მიაქანებს.

◆

მდგომარეობა ისპანიაში

ისპანიის რევოლიუციის ხუთი წლის შემდეგ ოფიცრობის 80 % ზე მეტი რესპუბლიკისადმი ერთგულების ფიცს არღვევს, შეთქმულებას ახდენს, ჯარების დიდ უმრავლესობას აიყოლიებს, იარაღის მეტათ თვალსაჩინო ნაწილს ხელთ იგდებს და კანონიერ მთავრობას აშკარა ომს უცხადებს.

საოცარი ამბავია, მთელ ჯარში დიდი ხნის მზადება და პროპაგანდა ყოფილა გაწეული რესპუბლიკანური რეჟიმის წინააღმდეგ და ამის შესახებ მთავრობას არა თუ რაიმე ცნობები, არამედ არავითარი ეჭვიც არ ქონია. პირველ ხანებში მდგომარეობა იხსნა მხოლოთ იმ გარემოებამ, რომ მადრიდში და ბარსელონაში აჯანყების მეთაურები გაურკვეველნი იყვნენ. აჯანყება მაროკოში 17 ივლისს დაიწყო, მადრიდში და ბარსელონაში კი 19-ს. იმის მაგივრათ რომ აჯანყებულებს მადრიდში თავის დროზე დაეკავებიათ პრეზიდენტის სასახლე, სხვა და სხვა სამინისტროები და ქუჩა, ისინი მხოლოთ ყაზარმებში ჩაიკეტენ. ალბათ არ ფიქრობდენ, რომ მათ ხალხი წინააღმდეგობას გაუწევდა.

მაგრამ სწორეთ რომ ხალხის დაუყონებლივ და გმირულ წინააღმდეგობამ თავი იჩინა. ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ადგილობრივათ ყოველგან სახალხო მილიციების შედგენა დაიწყო. მადრიდში სრულიათ უიარაღონი ყაზარმებს იგდებდენ ხელში და თანდათანობით იარაღდებოდენ.

აგერ სამი თვე სრულდება და ორ მოპირდაპირეთა შორის სამოქალაქო ომი უსასტიკესი ფორმით გრძელდება.

ამაღელვებელია ის, რომ აჯანყებულების მეთაურებს—ფაშისტ—გენერლებს თავის ქვეყნის წინააღმდეგ და თავიანთ ძმების გასაჟლეტათ მაროკოდან გადმოყავთ უცხოელ ლეგიონები. მართლაც რომ საშინელია ისპანიის ისტორია. ჯერ კიდევ 8 საუკუნის დასაწყისში ის არაბების მიერ იყო დაპყრობილი და მთელი 8 საუკუნე მოუნდა მათთან ბრძოლას და მათი თავიდან მოშორებას. და ეხლა კი ეს არაბები ხელახლათ გენერალ ფრანკოს მოყავს ისპანიაში. აქვე მოყავს მას რიფის ის ბერბერები, რომელნიც აბდელ კრიმის მეთაურობით ამ 12 წლის წინათ ფაშისტურ ისპანიის წინააღმდეგ იცავდენ თავიანთ დამოუკიდებლობას. გენერალ ფრანკოს და მის მომხრეებს მხარს უჭერენ აგრეთვე ევროპის ზოგი ფაშისტური ქვეყნები და ამ უკანასკნელთა დახმარებით ისინი აწიოკებენ თავიანთ საკუთარ სამშობლოს. უთუოთ ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ ისპანელების დიდი უმრავლესობა დღეს ასე შეპყრობილია უდიდესი პატრიოტიზმის გრძნობით, ასეთი სიმამაცით იბრძვის შემოსეულების წინააღმდეგ და იცავს თავის ქვეყნის თავისუფლებას.

ისპანიის დღევანდელ მთავრობას მეტათ მძიმე და რთულ პირობებში უხდება ბრძოლა და მუშაობა.

ისპანიაში რევოლიუციის შემდეგ რესპუბლიკანური მთავრობები არა თუ ფართე სოციალურ რეფორმებს ცხოვრებაში არ ატარებდენ, არამედ სამხედრო, ადმინისტრატიულ და პოლიციის აპარატებსაც უცვლელათ სტოვებდენ, მათ გადახალისებაზე არ ზრუნავდენ და უბრალო ტექნიკური ზომებით კმაყოფილდებოდენ. ასეთ რამეს კი მოყვა მეტათ ცუდი შედეგები, რის მოწამენი ჩვენ დღესა ვართ.

თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკის მომხრე პარტიებმა გაიმარჯვეს და მათ 452 დეპუტატიდან პალატაში 271 წარმომადგენელი ყავდათ. ამ პარტიათა შორის ყველაზე უფრო ძლიერი იყო სოციალისტური პარტია, რომელიც, მისი უმრავლესობის და ამ უკნასკნელის ლიდერის ლარგო კაბალეროს დაჟინებით, არჩევნებში კომუნისტებთან და რესპუბლიკანელებთან ერთათ ერთი ფრონტით გამოდიოდენ. მაგრამ როცა საქმე მთავრობის შედგენაზე მიდგა, სოციალისტები აყვენ კომუნისტების დემაგოგიას, მთავრობაში შესვლა არ მოისურვეს და მის გარეშე დარჩენ. მთავრობას სათავეში მხოლოთ ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელები ჩაუდგენ. ამ უკანასკნელთ კი დიდი გავლენა არ ქონდათ ფართე მასებში და მათი მთავრობაც სათანადო ავტორიტეტით არ სარგებლობდა. მთავრობა იყო სუსტი და უფერული. მას არ ქონდა მოქმედე-

ბის და წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რაც ასე საჭირო იყო ისპანიის გაერთიანებულ რეაქციასთან საბრძოლველათ. სოციალისტები კომუნისტებთან ერთათ უბრალო ოპოზიციონერობით კმაყოფილდებოდენ, შემოქმედებით მუშაობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ და ამით ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდენ. ამან კი ფაშისტ გენერლებს შესაფერისი პირობები შეუქმნა და მისცა საშუალება მათ თავიანთ გეგმებზე ეზრუნათ და ბოლოს ის სისრულეშიდაც მოეყვანათ.

რესპუბლიკის მომხრე პარტიათა შორის ძალთა კოორდინაცია არ არსებობდა აჯანყების შემდეგ კვირეებშიდაც. თვითეულ პარტიას და დაჯგუფებას თავისი შეიარაღებული მილიციური ძალა ყავდა და ფრონტებზე საერთო ხელმძღვანელობის გარეშე ცალცალკე იბრძოდენ. ასეთი რამ რესპუბლიკას დამარცხების მეტს არას უქადდა. ამით იქნა გამოწვეული ის, რომ ადმირალ ხირალის მაგიერ მთავრობის თავმჯდომარეთ იქნა მოწვეული ლარგო კაბალერო, რომელიც უკვე დიდის დაგვიანებით და ბევრ ხელსაყრელ პირობების ხელიდან გაშვებით დასთანხმდა მთავრობაში შესვლაზე. ფიქრობენ, ის გააერთიანებს ყველა მებრძოლ ძალებს, დააყენებს მათ ერთ სამხედრო ხელმძღვანელობის ქვეშ და მოწინააღმდეგეთ მედგრათ შეუტევს.

რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი, გენერლებ ფრანკო-მოლას მომხრეები აჯანყების პირველ დღიდანვე ძლიერი იყვნენ სამხედრო ძალების რიცხვით, დისციპლინით და შეიარაღებით. მათი უდიდესი სისუსტე იყო და არის დღესაც ის, რომ ისპანიის ხალხის დიდი უმრავლესობა მათი წინააღმდეგია. ისპანიის დღევანდელ მთავრობას კი მხარს უჭერს მთელი მუშათა კლასი და გლეხობის მეტათ თვალსაჩინო ნაწილი. ამათი მორალი, თავდადება და გაბედულება ძლიერია. ამათგან მხოლოთ ამ ბოლო ხანებში იწრთვნება ახალი რევოლიუციონური ჯარი. რეგულიარული ჯარის ნაწილები კი ამათ მხარეზე ნაკლებათაა. ამათი შეიარაღებაც თავიდანვე სუსტი იყო, რადგანაც იარაღის საკეთებელი ქარხნები და არსენალების კარგი მოზრდილი ნაწილი აჯანყებულების ხელში დარჩა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გენერლები აჯანყების მზადებას შეუდგენ ზოგ ფაშისტურ ქვეყნებთან წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ და ამათი დაპირების იმედით. და ესენიც თავიანთ დაპირებებს პირნათლათ ასრულებენ და აჯანყებულთ სამხედრო ყოველგვარ მასალებს ბლომათ აწვდიან. არ აკლებენ არც ფულს და არც გაწრთვნილ ტექნიკოს-სპეციალისტებს. ისპანიის საქმეებში ფაშისტურ ქვეყნების ასეთნაირ ჩარევამ გამოიწვია საფრანგეთის მთავრობის მიერ ნეიტრალობის წინადადების წამოყენება.

საფრანგეთის მთავრობამ ნეიტრალობის წინადადება წამოაყენა და ისპანიის რესპუბლიკანელებისადმი იარაღის მიწოდება მაშინვე შესწყვიტა.

საფრანგეთის და ინგლისის მთავრობების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ამათ აჯანყებული გენერლები და მადრიდის ლეგალური და კანონიერი მთავრობა ერთ დონეზე დააყენეს და ამ უკანასკნელისადმი იარაღის მიყიდვაზე უარი სთქვეს. ამით მათ მეტათ საშიშარი პრეცედენტი შექნეს. საფრანგეთის მთავრობის დიდი შეცდომა კი ის არის, რომ მან ნეიტრალობის წინადადების წამოყენებისთანავე რესპუბლიკანელებს ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა. თუ ნეიტრალობა საერთაშორისო ზავის დაცვის მოსაზრებით აუცილებელი იყო, საფრანგეთს დახმარება უნდა შეეწყვიტა მხოლოთ მის შემდეგ, როცა ნეიტრალობის მისი წინადადება საყოველთაოთ მიღებული და ცხოვრებაში გატარებული იქნებოდა.

ცხადია, ფაშისტური ქვეყნები ისპანიის ამბებით მეტათ დაინტერესებული არიან. ამბობენ, ზოგი ამ ქვეყნებთაგანი, წინეთ მაროკოდან გაძევებული, ეხლა ხელახლათ ცდილობს იქ დაბრუნებას, ზოგი კი ახალ ნავთსაყუდართ ეძებს და უნდა ხმელთა შუა ზღვის დასავლეთ ნაწილში გაბატონდესო. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ფაშისტურ ქვეყნების მიზანი ამით მაინც არ ამოიწურება, ის უფრო ღრმა და ფართე ხასიათის არის.

ევროპაში დღეს საერთოთ სასტიკათ დაპირდაპირებულია ორი რეჟიმი, ორი მიმართულება. დიქტატორული ქვეყნები ირაზმებიან, ერთმანეთს ეხმარებიან და ლამობენ ყოველგან თავისუფლება წალეკონ.

ისპანიაშიდაც ეხლა ბრძოლა სწარმოებს ამ ორ მიმართულების შორის და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოთ დატაკებულია ფაშიზმი და დემოკრატია. და ამ ბრძოლის შედეგიდან ბევრია დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებს შემდეგში საერთაშორისო მდგომარეობა. ისპანიაში ფაშიზმის გამარჯვებას შეიძლება სულ ადვილათ მოყვეს კონტინენტის დემოკრატიულ ქვეყნების თანდათანობით წაქცევაც, ავტორიტარული რეჟიმის მეტათ ფართე მაშტაბით გაბატონება, ბევრ ეხლა დამოუკიდებელ ერების მიერ თავისუფლების დაკარგვა და უკვე ჩაგრულ და დამონებულ ნაციათა კიდევ დიდი ხნით საპყრობილეებში ჩაკეტვა ჩატოვება.

ვ. ზ.

◆

პოლიტიკური მიმოხილვა

უკანასკნელ თვეებში პოლიტიკური ცხოვრების დუღილი არა თუ შენელდა, პირიქით საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენათა წარმოშობა-ცვლილება სწრაფი ტემპით განვითარდა, ომის შიშით შეპყრობილნი სახელმწიფონი ერთი-ორათ ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტს. ყველა სინჯავს და აძლიერებ', თავიანთ სამხედრო ძალებს. განიარაღების საკითხი თითქოს მოიხსნა კიდეც დღიურ წესრიგიდან, მისით დაინტერესებულ პაციფისტურ მიმდინარეობასაც დასაშვებათ მიაჩნია ზავის შესანარჩუნებლათ მოსალოდნელ ომისთვის მზადება. როგორც ვიცით გერმანიის მიერ რეინის ოლქის დაკავებით და სამხედრო ბეგრის შემოღებით ლოკარნოს ხელშეკრულებამ დაჰკარგა თავისი ძალა, მის მაგიერ განზრახულ იქნა ახალი საერთაშორისო დამოკიდებულებათა პირობების შემუშავება ე. წ. ახალი ლოკარნოს აღდგენით. საფრანგეთში სახალხო ფრონტის მთავრობის მოსვლით და მისი საგარეო რეალისტური პოლიტიკის გატარებით,—ყველა ერთა შეთანხმება განურჩევლათ რეჟიმისა, გაძლიერდა შესაძლებლობანი მძიმე ატმოსფერის გაფანტვისა და მშვიდობიანობის დამყარების. ლონდონში—ინგლის საფრანგეთ-ბელგიის წინასწარ შეთანხმება და გერმანიის მიერ პრინციპში მიღებამ ბრიუსელის კონფერენციაზე დასასწრებლათ, თითქოს გზა გაუწალდა მის დაჩქარებით მოწვევას. თუმცა გათვალისწინებული ნაბიჯების გადადგმა ჯერ კეთილსურვილებათ დარჩა, მომწვევთა შორის არსებულ ორ შეხედულებათა შეურიგებლობის გამო, ერთნი მომხრენი არიან კონფლიქტების ლოკალიზაციის და შესაძლებლათ სთვლიან განისაზღვროს ჯერ-ჯერობით ახალ დამოკიდებულებათა პირობები—დასავლეთით, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელში კეთილ განწყობილების ჩამოგდებას და ზავის განმტკიცებას. ამ თვალსაზრის, რომელსაც იცავს გერმანია-იტალია-ბელგია წინ ეღობება საფრანგეთ-რუსეთის კავშირი. მეორე მიმდინარეობა აყენებს განუყოფელ ზავის პრინციპს და სურს ახალ ლოკარნოს ფარგლებში მოექცეს აღმოსავლეთ ევროპის პრობლემა. ამ შეხედულების დამცველ საფრანგეთის უკან სდგას მცირე ანტანტა ბალკანეთის ბლოკი, ოსმალეთი და სხვა ზოგიერთი მცირე ერები. ინგლისში გაყოფილი იყო საზოგადოებრივი აზრი ამ შეხედულებათა შესახებ. მხოლოდ სექტემბრის სესიაზე ინგლისის მთავრობა იდენის პირით აცხადებს, რომ მას შესაძლებლათ მიაჩნია პირველ ხანებში მაინც დასავლეთით შემოფარგლოს ახალი ურთიერთობის ხელშეკრულება. არსებულ მდგომარეობაში ჩაკვირვებით აშკარათ სჩანს თუ რა მძიმე ტვირთათ აწვება მოსკოვი ევროპის დაწყნარების საქმეს, რომლის სიტყვა და საქმე დაშორებული ერთიმეორესგან ქმნის უნდობლობის ატმოსფერას აზიურ დესპოტიასან, რომელიც თესავს შუღლსა და მტრობას, არ სურს კავშირი დაიკავოს ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებმა. ყოველგვარი პერსპექტივა საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვებისა, რაც ერთათ-ერთი საშუალებაა მშვიდობიანობის დამკვიდრების, მოსკოვს შიშის ზარს სცემს, მისი ჩუმი პოლიტიკა მიიმართება ამ ორ ერთა წაკიდებისკენ, რომ თვითონ მშრალზე გავიდეს და შინაური ბატონობა შეინარჩუნოს, ლიტვინოვის უკანასკნელი წინადადება ჟენევაში გაფართოებულ საზავო კონფერენციის მოწვევის შესახებ, მაგრამ ამავე დროს მისივე თავდასხმა გერმანიაზე ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია...

ახალ ლოკარნოს კონფერენციის მოწვევას ხელს უშლის აგრეთვე იტალიის ევროპის საქმეებიდან ჩამოშორება. ის ჟენევაში დაბრუნების პირობათ, იქიდან მისივე დაპყრობილ აბესინიის დელეგაციის გაძევებას აყენებს... როგორც ვიცით აფრიკის ქვეყნის საკითხი გადავიდა საერთაშორისო ერთა უფლების ასპარეზზე. მისი წარმომადგენლობის ჟენევაში შენარჩუნებით დაცულია ამ ქვეყნის სუვერენობა, როგორც დროებით ოკუპაციის ქვეშ მყოფ დამოუკიდებელ სახელმწიფოსი. ამ უფლების დაცვასა და შენარჩუნებას სექტემბრის სესიაზე ხელი შეუწყო მცირე ერების მიერ აღებულ მტკიცე პოზიციამ, რომლებიც დაშინდენ საკუთარი მდგომარეობით. დიდ სახელმწიფოს პატარა ერის დაპყრობის დადასტურება შექმნიდა მათთვის საშიშ პრეცედენტს. საფრანგეთ-ინგლისი იძულებული გახდენ ამ მყარი ფრონტის წინაშე უკან დაეხიათ. სახეში მისაღებია აგრეთვე ინგლისის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იტალიის მიერ აბესინიის დაპყრობით და ინგლისის ინტერესების შებღალვით, რის გამო მოსალოდნელია მომავალშიც ამ ორ სახელმწიფოთა შორის არა ერთი ფრიად ძნელი გადასაჭრელი სადაო საკითხები წამოიჭრას. მაშასადამე საფრანგეთის მტკიცე სურვილი ე. წ. სტრეზის ფრონტის აღსადგენათ ჯერ განუხორციელებელი დარჩა. ამავე აბესინიის საკითხის გარშემო ლიტვინოვის მცირე ერების «მეთაურათ» გამოსვლა, მხოლოდ ააშკარავებს მოსკოვის მაკიაველურ პოლიტიკას, რომელიც შიგნით მცირე ერების მჩაგვრელი და დამპყრობელი გარეთ სხვების დამცველათ გამოდის. როცა ჟენევაში აშკარა გახდა მცირე ერთა მტკიცე გარდაწყვეტილება აბესინიის უფლების დასაცავათ, ლიტვინოვმა ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა. პატარა ერების გულის მოგება და მეორეთ—ამითი დიდ სახელმწიფოთათვის საკუთარი ძლიერების დანახვება. საერთოდ მოსკოვის პოზიცია სექტემბრის სესიაზე ჟენევაში, ორმაგ ბულალტერიაზე აგებული ხელს შეუწყობს მისი როლის შემცირებას ევროპის საქმეებში და გამოაფხიზლებს ევროპის საზოგადოებრივ აზრს...

არეულ მდგომარეობას თან ემატება მცირე ანტანტის დასუსტების ნიშნები, მართალია ბრატისლავიაში მომხდარი კონფერენცია ჩვეულებრივი მტკიცე ურთიერთ შეკავშირების სურვილით დამთავრდა, ამავე დროს მიღებული დადგენილება თითეულ მონაწილეს აძლევს უფლებას აწარმოოს განცალკევებული პოლიტიკა გარეშე სახელმწიფოსთან დაახლოვების შესახებ. ჩეხოსლოვაკია—ცდილობს მოსკოვს დაუახლოვდეს გასაგებ მიზეზთა გამო, იუგოსლავია აწარმოებს მოლაპარაკებას ბერლინთან, რუმინია ბერლინთანაც და რომთანაც. ეს მდგომარეობა ბზარავს ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა ფრონტს. თუმცა ამ მდგომარეობის განვითარება დამოკიდებულია მრავალ პოლიტიკურ ხასიათის ფაქტორებზე. მოსკოვის წარმომადგენლის ნერვიულობა ჟენევაში გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთ პოლონეთის სამხედრო კავშირის განახლებას. მათ შორის მჭიდრო დაახლოვების განმტკიცებას ერთის მხრივ,—და ინგლის ოსმალეთის დაახლოვების ნიშნებს მეორეს მხრივ. მონტროს კოხფერენციის დროს მოსკოვსა და ანგორას შორის შავმა კატამ გაიარა: ამ გარემოებამ თავისი განვითარება მიიღო. თვით დასავლეთში მოსკოვის გავლენა საგრძნობლად შენელდა. ეს აფიქრებს სისხლიან დიქტატორებს და ის ცდილობს დასაცავ პოზიციების გამონახვას.

დასავლეთში ვიღას სცალია ჩაერიოს ან ყურადღება მიაქციოს უკანასკნელ დღეებში იაპონია-ჩინეთს შორის უთანხმოებას, რომელსაც შესაძლებელია სერიოზული შედეგები მოყვეს. როგორც ვიცით იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკის ერთ უდიდეს საზრუნავ საგანს წარმოადგენდა ჩინეთთან სრული დაკავშირება, თავის გავლენის ქვეშ დაყენება, მოძმე რასიულ ერის ევროპისგან ჩამოშორება, ამის გამო მან მრავალჯერ ჩინეთს საგრძნობი ფინანსიური დახმარება გაუწია; როგორც სჩანს ნანკინის მთავრობა მოძლიერდა, მან შესძლო დაემორჩილებია სამხრეთი ოლქები, მიუხედავათ ამ მთავრობის ლოიალური პოლიტიკისა იაპონიის მიმართ, უკანასკნელის წინააღმდეგ გაძლიერდა პროპაგანდა ჩინეთში, რამაც გამოიწვია იაპონელებზე თავდასხმები. იაპონია-ჩინეთს შორის საომარი მდგომარეობის შექმნით ხელს ითბობს მოსკოვი, შორეულ აღმოსავლეთში თავის განზრახვების სისრულეში მოსაყვანათ.

ევროპისა და აღმოსავლეთის პოლიტიკური ბუროსის გაფანტვა ჯერ კიდევ შორს არის და ახლო მომავალშიც მრავალ ღირსშესანიშნავ პოლიტიკურ მოვლენათა მოწამენი ვიქნებით.

პ. ს—ძე.

◆

«სოციალისტური აზრი»

გაზეთ «სოც. აზრი»-ს ორ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია რ. არსენიძის ვრცელი წერილი—«ეროვნული განთავისუფლების გზები», რომელშიაც ავტორი ცდილობს თავის ჯგუფის განდგომას პრინციპიალური საფუძველი გამოუნახოს. ამ განსხვავებას ის ეძებს და პოულობს კიდეც მთავარ საკითხში—ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გაგება დაფასებაში. ის გვარწმუნებს რომ «საქართველოში დღეს დიდი სოციალური ძვრები ხდება, ფართო, განსაცვიფრებელი კულტურულ-მეცნიერული მუშაობა სწარმოებს, რომ ქვეყნის ეკონომიკამ სახე იცვალა: მრავალი ახალი სამრეწველო დარგი წარმოიშვა, სოფლად მაღალ-კულტუროსანი მცენარეების მოყვანას შეუდგენ, რომ ყველა ამასთან დაკავშირებით ერის მთელი სტრუქტურა შეიცვალა, ახალი სიცოცხლე დატრიალდა, ახალი ძალები წარმოიშვა, საზოგადოებრივი სხეულის ყველა ქსოვილებმა განახლება განიცადეს, რომ იშვა ახალი საქართველო, იშვა საქართველო მშრომელთა, მუშაკთა და მოღვაწეთა»...

სტალინი

ამ ჟამათ მთელი ქვეყანა სტალინზე ლაპარაკობს. ვერავინ მიმხვდარა რა მოხდა, რისთვის მოხდა, რათ დასჭირდა მოსკოვს სასამართლობიას გათამაშება და საბჭოთა რეჟიმის თექვსმეტი მამათ-მთავართა ერთბაშათ დახვრეტა. თუ ეს დიდი ფაქტი ევროპისათვის რჩება გაუგებარი, სამაგიეროთ მეორე ფაქტი როგორც იყო შევიდა საზოგადოების გაგებაში, ახლა მაინც ნათელი გახდა ყველასთვის, რომ საბჭოთა იმპერიაში დამყარებულია პირადი რეჟიმი, რამაც გააუქმა ყველა დანარჩენი რეჟიმი—საბჭოების, ბოლშევიკური პარტიის, ბიუროკრატიის—და მათ ალაგას წამოსკუპებულია სტალინის bon plaisir.

ყველა პირად რეჟიმში გადამჭრელი მნიშვნელობა ქონდა და აქვს თვით ამ პირადობას, მის ძირითად თვისებებს და შეხედულობათ, მის ზნე-ხასიათს და მიდრეკილებათ, მთელ კრებულს იმ საკუთარი მორალური ავლადიდებისა, რომლითაც ერთი ადამიანი ნსხვავდება მეორისაგან. სტალინზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მისი პიროვნება დარჩა მაინც გამოუცნობელი. რა ატოკებს, რით სულდგმულობს, რა ამოქმედებს და აბრძოლებს მას—აი ამ საკითხების გაშუქება მოგვცემს ამ ფიგურის სრულ დახასიათებას.

—

ეს იყო 1898 წლის დამლევს. მე ვიყავი «კვალის» ხელმძღვანელი. ერთ დღეს რედაქციაში შემოვიდა ახალგაზდა ყმაწვილი და გამეცნო: ჯუღაშვილი, სასულიერო სემინარიის მოწაფე, და მთხოვა მოსმენა. დაიწყო: მე ვარ თქვენი ჟურნალის და თქვენი წერილების ერთგული მკითხველი; ყველა ეს ჩემზე ახდენს დიდ შთაბეჭდილებას და გადავწყვიტე სემინარიის დატოვება და ამ აზრების მუშათა შორის გატანა. მოვედი თქვენთან რჩევის მისაღებათო.

მე ეს მისი გადაწყვეტილება მომეწონა, თფილისის სოც.-დემოკ. ორგანიზაციას პროპაგანდისტები აკლდა და ვიფიქრე ამ ერთ კაცს შევსძენ. მაგრამ სანამ ჩემს რჩევას მივცემდი, მსურდა გამეგო თუ რა გონებრივი საგზალი აქვს და ჩამოუგდე ლაპარაკი სხვადასხვა საკითხებზე ისტორიიდან, სოციალოგიიდან და პოლიტიკური ეკონომიიდან. ნახევარი საათის მუსაიფის შემდეგ ჩემთვის აშკარა გახდა რომ ამ ყმაწვილს ყველა ამ დარგზე სრულიად ზერელე წარმოდგენა აქვს, მთელი მისი საპრაპაგანდო ავლადიდება ამოიწურება «კვალის» სტატიებით და კაუცკის ერფურტის პროგრამით. და გამოუცხადე: ჩვენი მუშები მეტათ ცნობის მოყვარენია, დაგისვამენ მრავალნაირ საკითხებს, თუ პასუხი ვერ მიეცით ან მრუდეთ მიეცით ავტორიტეტი დაგერკარგებათ და აღარ მოინდომებენ თქვენს მოსმენას. ჩემი რჩევაა: დარჩეთ კიდევ ერთი წელი სემინარიაში, ხელი მოკიდეთ თვითგანვთიარებას და საჭირო ცოდნის შეძენას. ახლა თქვენ უზრუნველყოფილი ხართ მატერიალურათ და მაშასადამე მთელ დროს მოანდომებთ ამ საქმეს. ამასთანავე დაუსახელე წასაკითხავი და შესასწავლი წიგნები. ამაზე პასუხი არ მითხრა, დავფიქრდებიო და წავიდა.

გავიდა ექვსი თუ მეტი თვე, ეს ვიზიტი კიდევაც გადამავიწყდა. ერთ საღამოს შემოდის ჩემთან თფილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ს. ჯიბლაძე, მეტათ გაჯავრებული: ყაზირალი, ამბობს ის, ჩვენ ვუთხარით პროპაგანდა ეწარმოებია მთავრობის და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ის კი თურმე პროპაგანდას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ! მე ვერ გავიგე ეს ქარაგმა და ჩავეკითხე, ვისზე და რაზე ჯავრობს. სილვამ ამიხსნა: ერთი ახალგაზდა მივიღეთ პროპაგანდისტათ, ჩავაბარეთ წრე და ახლა გავიგეთ რომ ეს წრე გადაუკიდებია კომიტეტზე, ითხოვს მის დაშლას... გვარი არ ახსოვდა, სოსოს ვეძახითო. მაგრამ როცა ამიწერა მისი გარეგნობა, ვუთხარი—ვიცნობ, ეს ჯულაშვილია, გორელი და მოუყევი მისი ჩემთან მოსვლის ამბავი. სილვას მეტათ გაუკვირდა და მისაყვედურა—ეს ჩემთვის გეთქვა, მას არ მივიღებდით, უვიცი ხალხი პროპაგანდისტათ არ აგვყავსო, მაგრამ ამასთანავე დაუმატა: ალბათ სალაპარაკო მასალა დაელია წრეში და ჩვენი გინებით შეავსო. ეს იყო დანაშაულობის შერბილება, ახსნა მისი განუვითარებლობით და არა პირადი მოტივებით. სოსოს ჩამოართვეს ეს წრე და გადაიყვანეს რკინისგზის რაიონში.

ამ დროს თფილისის ორგანიზაციის წყობა იყო შემდეგი: ქალაქი იყოფოდა რამოდენიმე რაიონათ; თვითეული რაიონი შეიცავდა რამოდენიმე არალეგალურ წრეს, წოდებულს იაჩეიკათ; წრეს აარსებდა მოწინავე მუშა თავისი ნაცნობი მუშებისაგან და ითვლებოდა მათ ორგანიზატორათ. წრეთა მეთაურნი ადგენდენ რაიონის ცენტრს, ხოლო რაიონთა წარმომადგენელნი ადგენდენ თფილისის ცენტრს ანუ კომიტეტს. ვინაიდან ორგანიზატორები იყვენ მუშები, ამიტომ თავისთავათ ყველა ეს ცენტრები შესდგებოდა მუშებისაგან, ხოლო პროპაგანდისტებს ისწრებდენ სხდომაზე სათათბირო ხმით. ერთათ ერთი ინტელიგენტი, რომელიც კოოპტაციით მოიწვია კომიტეტმა გადამწყვეტი ხმით იყო სილვა, მაგრამ ის იყო არა მარტო საუკეთესო პროპაგანდისტი, არამედ საუკეთესო ორგანიზატორიც.

ასეთ წყობას ვერ შეურიგდა ჩვენი ახალგაზდა სოსო. ახალ რაიონში და ახალ წრეში მან განაგრძო ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა, შექმნა თავისი საკუთარი ჯგუფი და გამართა პიროვნული კამპანია სილვას წინააღმდეგ. ბოლოს კომიტეტმა დაადგინა მისი გასამართლება, მოიწვია თავის სხდომაზე, მოსთხოვა თავისი ბრალდებათა საბუთები და ერთხმათ გადასწყვიტა: გამოირიცხოს ორგანიზაციიდან როგორც გაუსწორებელი ინტრიგანი. სოსო იძულებული გახდა დაეტოვებია თფილისი და წავიდა ბათუმში.

ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო პარტია, არც რაიმე საერთო ცენტრი, თვითეული ქალაქი თავისთვის აწყობდა ორგანიზაციებს და აწარმოებდა მუშაობას თავისი საკუთარი პასუხის მგებლობით. ამიტომ ერთი ქალაქიდან გაძევებული პროპაგანდისტი ან ორგანიზაციის წევრი, ადვილათ შედიოდა სხვა ქალაქის ორგანიზაციაში.

ამნაირათ, სტალინმა თავისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო მცირე ცოდნით და დიდი პრეტენზიით. ამ ყმაწვილმა თავიდანვე მოინდომა ლიდერობა და რადგანაც საამისო არავითარი დამსახურება არ მიუძღოდა, გადასწყვიტა ლიდერების დამცირებით თავისი პიროვნების გადიდება. ის არ იყო ორატორი, ლაპარაკობდა მონოტონურათ, გაზეპირებულივით და მხოლოდ მაგარი სიტყვების ხშირი ხმარებით იპყრობდა მსმენელთა ყურადღებას. არ იყო მწერალი, პრინციპების და დირექტივების საჯაროთ მქადაგებელი და დამცველი. დარჩა ერთათ-ერთი სფერო, სფერო ორგანიზაციული, სადაც ის საფუძვლიანათ ჩაჯდა და გადასწყვიტა მისი საშუალებით სათავეში მოქცევა. აქ კი მან გამოიჩინა იშვიათი სიმტკიცე, გაბედულობა და ერთგულება. ბათუმში გვერდი აუხვია იქაურ ხელმძღვანელთ, კ. ჩხეიძეს და ის. რამიშვილს, დაბინავდა მუშათა რაიონში, დაიწყო თავის გარეშემო მათი შემოკრება. მაგრამ მისი ძირითადი თვისება, პირადი ამბიცია ამ მუშაობასაც ხელს უშლიდა, აჩქარებდა და თფილისურ მეთოდს არ ავიწყებიებდა. ყველა მოწინავე პირი აითვალისწუნა, ყველა მათ აბრალებდა ლაჩრობას, უუნარობას, უკან დახევას და ხალხს მოუწოდებდა პირდაპირ ქუჩაზე გამოსვლას. ორგანიზაციაში მან შექმნა თავისი საკუთარი პირადი ორგანიზაცია, რომელიც მას მორჩილებდა სავსებით და არც რაიმე პასუხს აგებდა კომიტეტის წინაშე. საიდუმლო ორგანიზაციაში ასეთი საიდუმლო მუშაობის შედეგი იყო მუშების მანიფესტაცია ციხის წინ და მათი დახოცვა. ასეთ ტაქტიკას იმ ხანათ ორგანიზაციები არ ადგენ და ეს გამოსვლა მოინათლა პროვოკაციის სახელით. სოსოს აღარ დაედგომილებოდა ბათუმში, მას მუშები აღარ იკარებდენ; მისდა საბედნიეროთ დაიჭირეს და გადაასახლეს, რამაც რამოდენიმეთ ასწია მისი პრესტიჟი და პროვოკატორის სახელი მოხსნა.

1903 წ. ზაფხულში საქართველოში ხმა გავარდა პარტია გაიყო კონგრესზე, ბოლშევიზმი აღორძინდაო. სოსო, უკვე კობათ გადაქცეული და ციმბირიდან გამოქცეული, მაშინვე მიემხრო ლენინს. ის ბოლშევიზმამდე იყო ბოლშევიკი, არა თეორიული მოსაზრებით, არამედ თავისი ბუნებით, ხასიათით და ამბიციით. როგორც კი ახლა ლენინში ნახა ამ მისი მიდრეკილების თეორიული დასაბუთება, მუშათა კლასის «თავდადებული რევოლიუციონერების მიერ» ხელმძღვანელობის აუცილებლობა, შედგენა პარტიის არა მუშების, არამედ მუშებისათვის სოციალისტური ინტელიგენციის მეთაურობით—ყველა ეს ლენინის ახალი სახარება სავსებით უდგებოდა კობას პსიქოლოგიას და თავიდანვე მას დაეწაფა. მან იცნა ერთათ ერთი ლენინი თავის ლიდერათ და ხელმძღვანელათ.

ერთი სიტყვით, დემოკრატიულ და ოტორიტარულ საორგანიზაციო მიმდინარეობათა შორის აირჩია უკანასკნელი და შეუდგა ჩვენი ორგანიზაციების მის ნიადაგზე გადაყვანას. მაგრამ აქ ის შეეხეთქა ქართველი მუშათა კლასის დემოკრატიულ სულისკვეთებას, მის წმინდა მუშურ ორგანიზაციულ წყობას, მის დიდი ხნის თვითმოქმედების ტრადიციას და დამარცხდა. ბოლშევიკური მიმდინარეობა გადაიქცა ვიწრო წრის კუთვნილებათ. კობა ჩაიკეტა თავის ფრაქციაში და იშვიათათ გავიდოდა მუშათა კრებებზე მენშევიკებთან საკამათოთ. მისი მონოტონური სიტყვა მართლა ხატავდა მის გულისნადებს თუ ლაპარაკობდა ერთს, ფიქრობდა მეორეს—მისი მსმენელი ვერ მიხვდებოდა. მისთვის სიტყვა იყო მხოლოდ საშუალება მენშევიკის ჩასაქოლავათ, ხოლო მის სისწორეს და სიმართლეს სრულიად არ დაგიდევდა. ჭიათურის მთელი მუშათა კლასი აალელვა ერთმა მის გამოსვლამ, სადაც ის მოუწოდებდა მიტინგს იქ დამსწრე მენშევიკების ფიზიკურათ ჩასაქოლავათ. ის ყოფდა მებრძოლთ ორათ: მის მორჩილთ და მის მოწინააღმდეგეთ; ვინც მას არ ემორჩილებოდა, მისი მტერია.

საქართველოს ბოლშევიკთა შორის ამ დროს უკვე ყალიბდება ორი მიმდინარეობა: პოლიტიკუ-

ეს კიდევ ცოტაა. მთავარია ის რომ აქ მოსჩანს მისი რწმუნებით «ერის უნარი ახალი ცხოვრების მოთხოვნილების შეცნობის. ახალ პირობებთან შეგუების»... «ერთი სიტყვით: შეუჩერებელი წინსვლა, აღმავლობა» და სხ.

თუ ყოველივე ეს მართალია, თუ მართლა «იშვა ახალი საქართველო» და ისიც «საქართველო მშრომელთა, მუშაკთა და მოღვაწეთა» და ეს უკვე «შეიცნო» ქართველმა ერმა და «შეეგუა» კიდეც—მართლაც რომ დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ყველას ასეთი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა. პირიქით, ასეთ ქვეყანას ესაჭიროება ყოველმხრივი თანაგრძნობა. დახმარება, გამაგრება, ხელის შეწყობა, გამხნევება—ერთი სიტყვით ყველა სასიცოცხლო ძალების მის რიგებში ჩაყენება და მისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ამუშავება.

და თუ რ. არსენიძე გულწრფელია ამ თავის რწმუნებაში, თუ მას მართლა სჯერა ყოველივე ის რაც მან სთქვა, მისი გარდაუვალი მოვალეობაა დაუბრუნდეს თავის ქვეყანას და იქ, თანამოძმეთა რიგებში მონაწილეობა მიიღოს სამშობლოს ამაღლება-აღორძინებაში.

მარა დღემდის ყველას ეგონა რომ საქართველოში მეფობს არა მშრომელი, არამედ ტირანი, რომ იქ დღეს მძვინვარებს უსაშინელესი რეაქცია, ხდება გაუგონარი თანამედროვე ხანაში დაცემა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომ ყველა მისი მოამაგე ციმბირის და სალოვკების მიდამოებში ლევენ სულს, რომ ხალხი არამც თუ «ეგუება ახალ პირობებს»—ებრძვის ყოველგვარი საშვალებით და შესაძლებლობით და სხ. და სხ. რ. არსენიძე კი გვარწმუნებს რომ ყოველივე ეს ზღაპარიაო, მოითხოვს ხელი ავიღოთ ყოველგვარ აქტიურ ბრძოლაზე და «დავკმაყოფილდეთ საიმედო, თუნდაც მცირედი საქმიანობით, სიმპატიის მოპოებით, საზ. აზრის შექმნით ჩვენი ერის სასარგებლოთ». მას არ მოსწონს ყოველივე ის რაც კეთდება ჩვენი ქვეყნის დასაცავად ევროპაში და თუ მის სრულიად შეჩერებას არა, შეცვლას კი დაბეჯითებით ითხოვს. ის ვერაფერს ვერ ხედავს ამ მუშაობაში გარდა იმისა, რომ თურმე «შემუშავებული გვაქვს საკუთარი თეორია ერის ხსნისა. ეს გახლავთ თეორია გარეშე ძალის, უცხო სახელმწიფოს დახმარების» და სხ. მარა საკითხავია—რატომ უნდა დაგვეხმაროს ვინმე? თუ მართლა საქართველო არის ქვეყანა მშრომელთა—რატომ უნდა იბრძოლოს მან! და თუ არ იბრძვის რაღა დახმარება ესაჭიროება მას? დახმარება ესაჭიროება იმას, ვინც იბრძვის. რ. არსენიძისათვის კი ასეთი ბრძოლა ზედმეტია. პირიქით, ის გვირჩევს დავიცადოთ, რადგან «სოც. ინტერნაციონალს ექსპლუატაციისგან შრომის განთავისუფლებასთან ერთად—ჩაგრულ ერთა განთავისუფლებაც თავის პრინციპიალურ მიზნათ აქვს დასახული»-ო.

როგორც ვხედავთ ეროვნული საკითხი ცხადდება პროლეტარული რევოლიუციის საერთო საკითხის ნაწილათ. ეს ნიშნავს იმას რომ საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებით. სწორია რომ სოციალიზმი თავისუფლებას მიანიჭებს ყველა ერთ, სადაც არ უნდა ბინადრობდენ ისინი. მარა ეს ხომ ძველი პროგრამული დებულებაა და თუ ამით ვიხელმძღვანელებთ, ცხადია, საქართველოს საკითხი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან და რაღა ფასი აქვს მაშინ რ. არსენიძის მტკიცებას—საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჩვენც ვიბრძვითო.

ტაქტიკა ინტერნაციონალთან და რუსეთის დემოკრატიასთან დაკავშირებით ბრძოლისა დიდი ხანია რაც ირ. წერეთელმა წამოაყენა, მარა მას არასდროს ეს ტაქტიკა საქართველოში სამოთხის აღიარებით არ დაუსაბუთებია. პირიქით, კომუნისტების საქმიანობაში არამც თუ არ ხედავდა რაიმე დადებითს—ხელაღებ უარყოფდა. არსენიძე კი როგორც დავინახეთ ისე გატეცებულია დღევანდელი საქართველოთი, რომ ვერც კი ამჩნევს თუ რა დათვურ სამსახურს უწევს ის ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს.

ჩვენის ღრმა რწმენით საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია როგორც შედეგი საბჭოთა რუსეთის შინაგანი და საგარეო კონფლიქტების, და რაკი ბოლშევიზმის დაცემა აუცილებელია ჩვენ ვანგარიშობთ რა ფორმით და რა საშვალებით დაინგრევა ის და რა მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ დანგრევაში. ე. ი. საკითხს უკავშირებთ მიმდინარე მომენტში თვით საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობას. ეს მდგომარეობა კი შეიძლება იყოს სხვა და სხვა გვარი. ამიტომ თვითეული შემთხვევისათვის წინდაწინ გათვალისწინებული უნდა იყოს შესაფერი ტაქტიკა და რომ ეს სრულიად არ ნიშნავს არც «საომარ ყიჟინას» და არც «სულწასულობას»—ეს არც ისე ძნელი გასაგებია. არ არის ისეთი სოც. პარტია, რომელიც დღეს არ ფიქრობდეს იმაზე თუ ომის დროს რა პოზიცია დაიჭიროს. ზოგი მათგანი კანონ პროექტსაც კი იმუშავებს ქვეყნის დაცვის უკეთ მოსაწყობათ ომის დროს. ომი არავის არ სურს, მარა ყველა ემზადება მოსალოდნელი შემთხვევისათვის. ინტერ. შვიდმა სოც. პარტიამ ბაუერ-დანის მეთაურობით ამას წინეთ მთელი გეგმა შეიმუშავა იმის შესახებ თუ ომის დროს, რომელი ქვეყნის სოც. პარტია როგორ უნდა მოიქცეს. მაშ, რატომ, მაინცდამაინც, ჩვენ უნდა გვეძრახოს რომ წინდაწინ გავითვალისწინოთ მოსალოდნელი შემთხვევები და ჩვენს ხალხს ესა თუ ის რჩევა მივცეთ!

რ. არსენიძე არ იზიარებს იმ შეხედულებას რომ პატარა ერს იშვიათად თუ მოუპოვებია თავისუფლება გარედან დაუხმარებლად და ამის გასაბათილებლად მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ჩვენი ქვეყნის წარსულიდან. ყველა ეს მაგალითები ისტორიულად, უეჭველია, სწორია. მარა, ჩვენის აზრით, სრულიად არ ამტკიცებენ იმას რაც უნდა დაემტკიცებია. პირიქით, ამტკიცებენ რომ ქართველი ერი მუდამ ეძებდა დამხმარეს გარეთ და გარეშე ძალის დაუხმარებლად იშვიათად თუ განთავისუფლებულა. მართალია ეს დახმარება მას ძვირად უჯდებოდა.—დახმარება ხშირად დაპყრობად ქცეულა, მფარველობა კი ბატონობად.

უდავოა რომ ეროვნული მოძრაობის მთავარ ძარღვს წარმოადგენენ საკუთარი ეროვნული ძალები. ესაა ამ მოძრაობის მთავარი ფუძე და პირობა. ვისაც სურს თავის ერის განთავისუფლების საქმეს ემსახუროს, მან, პირველ ყოვლისა, უნდა იზრუნოს ეროვნული ძალების ყოველმხრივ განვითარებაზე. და ჩვენც, მუდამ და ყოველთვის, ამას ვისახავდით მიზნად და მთელი ძალღონით მას ვემსახურებოდით და ვემსახურებით. მარა დამოუკიდებლობის მოსაპოებლად მარტო საკუთარი ძალა როდი კმარა. ამიტომ არის ჩვენ ვეძებთ მომხრეებს და მოკავშირეთ ჩვენსავით ტყვეთ ქმნილ ერთა შორის თვით საბჭოთა კავშირში. ეს ჩვენს მდგომარეობაში მყოფნი ერები ერთად-ერთი უანგარო მოკავშირენია ჩვენი საქმის და ამით აიხსნება ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენ გვაქვს და უნდა გვქონდეს ამ ერთა პროგრესიულ და მოწინავე ძალებთან. საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა კავშირია ის ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაგლეჯს იმ ჯაჭვს, რომლითაც დღეს დაბმულია ისინი და მოიპოვებენ თავისუფლებას. მარა თავისუფლების განსამტკიცებლად და შესარჩენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარეშე სახელმწიფოთა თანაგრძნობას და განწყობილებას. ამის მოპოება კი შესაძლებელია პროპაგანდით, მონაწილეობის მიღებით სხვადასხვა საერთაშორისო ხასიათის პროგრესიულ ურთიერთობაში, ერთა ლიგით, დიპლომატიური გზით და სხ. ასეთი განწყობილების გამოყენება სრულიადაც არ გულისხმობს, რასაკვირველია, იმას, რომ «ვინც ბოლშევიკებს მუშტს მოუღერს—საქართველოს ბედი იმის მახვილს და ტყვიას ჩავაბაროთ», როგორც ამას ასე უპასუხისმგებლოთ აცხადებს ჩვენი ავტორი. რ. არსენიძეს უნდა ესმოდეს თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისათვის ამ კომუნისტების მიერ შეგნებულად გამოგონებულ ამბავს ახლა მის მიერ ასე უდარდელად დადასტურებულს!

გზადაგზა ჩვენი ავტორი არც «ბრძოლის ხმა»-ს სტოვებს უყურადღებოთ და ცილს წამებს თითქოს ის «მანჯუკოს გამოყოფასა და დაპყრობას ეროვნულ განთავისუფლების პოლიტიკად ნათლავდეს», ანდა «შესაძლებლად სთვლიდეს რომ ჰიტლერის ჯარი, როგორც განმათავისუფლებელი? იქნეს მიწვეული რუსეთში დაჩაგრულ ერთაგან». რასაკვირველია «ბრ. ხმა»-ს ასეთი სისულელე არსად არასოდეს არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა. და თუ რ. არსენიძე მაინც აწერს მას ასეთ რამეს—ეს მისი რიგიანობის საქმეა.

რ. არსენიძის წერილს სათაურად აქვს «ეროვნული განთავისუფლების გზები». მარა მთელი მისი შინაარსი კი სრული უარყოფაა ყოველგვარი ასეთი გზების. ასეთ რამეს კი, რა თქმა უნდა, არც ქართველი ხალხი მიიღებს და არც მისი ხელმძღვანელობა...

გრ. ურატაძე.

◆

ისპანეთში

ისპანეთის სამოქალაქო ტრაღედიას არ უჩანს ბოლო. მისმა სიმწვავემ ევროპის კონტინენტზე დაჩრდილა რუსეთის სამოქალაქო ომის საშინელებათა მოგონება და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გასტანს მოსისხლე მტრებათ გადაქცეულ ძმათა შორის სისხლის დენა?

რა მოხდა?

აჯანყებულთა ერთი მეთაური გენერალი მოლა 7 აგვისტოს ეუბნებოდა ერთ უცხოელ კორესპონდენტს: «მოძრაობა, რომელიც მე დავიწყე, იყო აუცილებელი. სარწმუნო წყაროებიდან ვიცოდი—და შემდეგ მუშათა ცენტრებში აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ შაბათს, 18 ივლისს, მე არ ამეღო ოპერაციების ინიციატივა, სამშაბათს კომუნისტები მოახდენდენ რევოლიუციას»-ო. ჩვენ არ ვიცით რა ფასი აქვს გენერლის მტკიცებას; არ შევდივართ იმის გარჩევაში მართალია ის თუ ყალბი, მაგრამ ფაქტი, მთელი თავისი სიმწვავით, რჩება და ის უნდა შეფასდეს, როგორც ასეთი. აჯანყებული გენერალი კომუნიზმის საფრთხით ამართლებს კანონიერ დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებას და თავისი ქვეყნის სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვევას. შორეულ წარსულის მოგონება საჭირო არაა ანალოგიური მოვლენების საძიებლათ. თანამედროვე ცხოვრება საკმაოდ იძლევა ამის საგულისხმო მაგალითებს. მუსოლინის რომზე გალაშქრება, იტალიის დემოკრატიის დასამარებით რომ დაბოლოვდა მოხდა მოსკოვის გავლენის აღმოფხვრის მობოდიშებით. ჰიტლერმა კრემლის კრიმინალური პოლიტიკით გააპოხიერა ნაციონალ-სოციალიზმის ნიადაგი. ორივე მოვლენა ხალხის სუვერენობის დამარცხებით დაბოლოვდა. ერთმა რეაქციამ მეორე გააძლიერა და მშრომელთა კლასი შუაში კოზაკივით გაიჭყლიტა. ისპანეთის საქმეც ამ ხაზით მიიმართება.

ჩვენი დროის ლიბერალურმა ცივილიზაციამ დიდხანს ვერ შეარყია ძველი ფეოდალიზმის და ინკვიზიციის კედლები ამ ქვეყანაში. არავითარი უფლება ხალხს, ყველაფერი სასულიერო და სამხედრო კამარილას. ასეთი სოციალ-პოლიტიკური ანაქრონიზმის გაგრძელება ეწინააღმდეგებოდა თვით ცხოვრების ლოღიკას. მან დაამხო მეფის აბსოლიტიზმი. მაგრამ ბეჩავი ხალხი ისტორიული დეტერმინიზმის წყალობით მომხდარ რევოლიუციას მოუმზადებელი დახვდა და ისევ მემარჯვენე ძალებს ჩაუვარდა ხელში. ამ გარემოებამ შექმნა ნანატრი ნიადაგი კრემლის საერთო ფრონტის პოლიტიკისათვის. გარეტიანებული სახალხო ძალები ადვილათ წამოეგენ მოხერხებულათ გადასროლილ ანკესზე და ყოველგვარი პოლიტიკური და იდეოლოგიური ნათესაობის გარეშე მოხდა მათი გაერთიანება. გაერთიანდენ რადიკალები, სოციალისტები, კომუნისტები, ანარქისტები, კატალონიის და ბასკი ნაციონალისტები და საერთო ძალით გამარჯვება მოიპოვეს უკანასკნელ არჩევნებში. უნდა გვეფიქრა, რომ სოციალისტები ამ გამარჯვებას გამოიყენებდენ და სახელმწიფო პასუხისმგებლობის განაწილებით განამტკიცებდენ ხალხის თავისუფლებას. ეს ასე არ მოხდა. აზანას ჯგუფის რადიკალებს გარდა მთავრობაში შესვლა არავინ ისურვა და საერთო ფრონტი მხოლოდ საარჩევნო რეკლამა გამოდგა. ამრიგად, მთავრობა მოკლებული დარჩა ისპანეთის დუხჭირი სინამდვილის გადასაქმნელათ აუცილებელ რევოლიუციონურ პოტენციას. მას იმ თავითვე ჩამოაცალეს ღრმა სოციალურ რეფორმების გატარებისათვის საჭირო ავტორიტეტი. ეს მაშინ, როცა ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ გავლენიანი კლერიკალურ-არისტოკრატული წრეების რეაქცია ძლიერი იქნებოდა, რომ ისინი გულზე ხელდაკრეფილი არ შეხვდებოდენ საუკუნოებით განმტკიცებულ პრივილეგიების დაკარგვას. სახალხო ფრონტს არ აღმოაჩნდა გარკვეული საალმშენებლო პროგრამა. გამოაშკარავდა მისი ყალბი საფუძველი. შედეგათ მივიღეთ 18 ივლისის აჯანყება და გაუთავებელი სამოქალაქო ომი. ამ მოვლენამ თითქოს ჯადოსნური ძალით ერთხელ კიდევ გააერთიანა ყველა ხალხური ძალები. მაგრამ იმდენათ ჭრელი და მრავალფეროვანი არიან ისინი, რომ მათი ერთი მიზნისკენ მიმართვა და საერთო დისციპლინით ამუშავება შეუძლებელი გამოდგა. ფრონტის კომუნისტურ ავადმყოფობას დაემატა ანარქისტული სენი, რომლიდან განკურნება არც ისე ადვილი დარჩა. ეს ხალხი საფუძვლიანათ ებრძვის ყოველივე წესრიგს, დისციპლინას და არ ცნობს არავითარ მორალურ ღირებულებას. მარქსმა თავის დროზე იგრძნო ანარქიზმის დამღუპველი ხასიათი და გარიყა ის მუშათა მოძრაობიდან. ისპანეთის დემოკრატიულმა და სოციალისტურმა წრეებმა ჩაიდინეს უდიდესი შეცდომა თავიანთ ხალხის წინაშე, კომუნისტური და ანარქისტული მოძრაობა უმნიშვნელო ოდენობიდან, მათ გახადეს ქვეყნის პოლიტიკის გადამწყვეტ ფაქტორათ. მათი მიზანი არსებულის დანგრევაა, ხოლო ამ მიზნისათვის ყოველი საშუალება მისაღებია. მთავრობის რაზმები იძულებული ხდებიან ბრძოლა ორ ფრონტზე აწარმოვონ: აჯანყებულთა წინააღმდეგ და საკუთარ მოკავშირეთა დასამორჩილებლათ. 3 აგვისტოს ანარქისტებმა ჩასაფრებით მოჰკლეს რაზმის უფროსი სოციალისტი ტრილასი ორი მხლებელით იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი წეს რიგსა და დისციპლინას მოითხოვდა. ამრიგად, ისპანეთის სახალხო ფრონტის სამეფოში სრული დაბნეულობაა. სოციალისტები აზანას ჯგუფის რადიკალებთან ერთად ებრძვიან აჯანყებულებს კონსტიტუციისა და კანონიერების სახელით; კომუნისტები რუსული საბჭოების გამეფების მიზნით; ანარქისტები ნგრევის და ცარცვა-გლეჯის მიზნით; კატალონელი ნაციონალისტები თვითმმართველობის სტატუტების დაკარგვის შიშით, ხოლო ბასკები მილიტარიზმის

რი. შაუმიანის მეთაურობით, და ყაჩაღურ-ბანდიტური სტალინის მეთაურობეთ. მათ შორით გაჩაღდა შინაური ძმათა ბრძოლა, ერთი-მეორის აბუჩათ აღება, და დაუსრულებელი პიროვნული მეტოქეობა. სტალინმა შექმნა თავის საკუთარი ჯგუფი, მისი სავსებით მორჩილი და მასზე დამოკიდებული. ამ ჯგუფში შედიოდენ მხოლოდ «დამკვრელები», მაუზერისტები, რომელთა დანიშნულება იყო არა პოლიტიკა, არამედ «ექსი», ხაზინის ცარცვა. ნაშოვარ ფულებს უგზავნიდენ ლენინს, ხოლო თვით სტალინი რჩებოდა ისევ უფულოთ, ღარიბათ ჩაცმული, გაჭივრებულათ მცხოვრები და მუდამ თავის პოსტზე მდგომი. ამით ის დიდათ განირჩეოდა ყველა სხვა ბოლშევიკ-ინტელიგენტისაგან, რომელნიც მუდამ ეძიებდენ თფილ ადგილს და გამორჩენას, უყვარდათ კარგი ცხოვრება (შაუმიანი, მახარაძე, მდივანი, ქავთარაძე და სხ.). ის თავის ერთგულ ჯგუფსაც სთვლიდა მხოლოდ საშუალებათ, მიზნის მისაღწევ იარაღათ; მან არ იცოდა არავითარი მეგობრობა და ამხანაგური დამოკიდებულება. როგორც კი ამ ყარაჩოღრული ჯგუფის მთავარი წევრი, კ. ცინცაძე, მას ყველაფერში არ დაემორჩილა, თავისი საკუთარი აზრის გაბედულობა დაურჩა, სტალინმა ის ხელათ გადაასახლებია და მან ციმბირში უმწეოთ დარჩენილმა სული დალია. ბოლშევიკურ გაზეთებმა მისი დაკარგვა არც კი მოიხსენიეს. სტალინი არასოდეს არ ყოფილა ვინმეს მეგობარი და არც დღეს შეიძლება იყოს. მისი ძირითადი მიდრეკილებაა—იყოს ბატონი, მბრძანებელი, წრის, პარტიის თუ სახელმწიფოს, სადაც კი ამას შესძლებს, მაგრამ არასოდეს სხვისი თანასწორი, სხვაზე დამოკიდებული. ის ეწეოდა ორგვარ კონსპირაციას: ერთს, საერთოს, მთავრობის წინააღმდეგ, მეორეს, კერძოს, პიროვნულს, თავის მეტოქეთა წინააღმდეგ.

ქართველი ბოლშევიკების სულისკვეთება ნათლათ გამოირკვა 1905 წ. რევოლიუციაში. როგორც კი ხალხი აშკარათ გამოვიდა და გამარჯვება მოიპოვა, ბოლშევიკები ამ ტალღაში გაქრენ, აღარ ჩნდენ, ვერც ერთ დიდ მომენტში თვალსაჩინო მონაწილეობა ვერ მიიღეს. დაიწყო რეაქცია, თფილისი სამხედრო წესებზეა, მხოლოდ მუშათა უბანში, ნაძალადევში, ჯერ კიდევ ვერ ბედავენ შეჭრას და მის აკლებას. შეიკრიბა ორგანიზაცია ნაძალადევის მოედანზე, დაესწრენ ბოლშევიკებიც სტალინის მეთაურობით. ბჭობა სწარმოებდა საჯაროთ. მენშევიკურ კომიტეტმა შემოიტანა წინადადება—დაუყონებლივ ორგანიზაცია გადაეწყოს არალეგალურ საფუძველზე და განვაგრძოთ ბრძოლა მოწოლილ რეაქციასან. სტალინი შეებრძოლა ამ უკანასკნელ აზრს: საქმე წაგებულია, ჩვენ დავიმალოთ, თავი შემოვინახოთ, ხალხი თავის თავს უჩვენოთაც მოუვლისო. ატყდა დიდი კამათი. ჩვენ ვიცავდით ხალხთან ჭირშიაც დარჩენას, მის გვერდით ყოფნას და ბრძოლას და მით პარტიის პრესტიჟის და გავლენის განმტკიცებას. გავიდა ეს წინადადება წინააღმდეგ ბოლშევიკებისა, რომელნიც გავიდენ კრებიდან და მართლაც გადაიმალენ, ისინი აღარსათ არ გვინახავს.

ქართველი ბოლშევიკი, რუსის ბოლშევიკთან შედარებით, ყოველთვის იყო მეტათ მხდალი, დაშინებული და ყველა გაჭირვების დროს ბრძოლის ველის მიმტოვებელი და გაქცეული. მუშა ბოლშევიკები კი არ განირჩეოდენ მენშევიკ-მუშებისაგან, მაგრამ მათი რიცხვი იყო მეტათ მცირე. როცა ისინი ნაძალადევის მოედანზე ბრძოლის მიტოვებას და გაქცევას გვირჩევდენ, რუსის ბოლშევიკები კი მოსკოვში ბარიკადებზე იბრძოდენ.

ქართველი ბოლშევიკების თვისებაა აგრეთვე უსაშველო ტრაბახობა და თავისთავის განდიდება. ეს თვისება ახლა, მათი ბატონობის ხანაში, გადაიქცა წყაროთ დაუსრულებელი ყალბი მოგონებისა, სადაც მენშევიკების ნამუშევარი მიწერილია ბოლშევიკებისათვის. საკმარისია ერთი მაგალითი.

ნაძალადევის პარტიული კრება როგორც კი დაიშალა, კომიტეტმა გამოყო განსაკუთრებითი ორგანო რეაქციასან ბრძოლის სამეთაუროთ. ამ ორგანომ პირველსავე კრებაზე დაადგინა—მოიკლას რეაქციის მეთაური ნამესტნიკის სამხედრო თანაშემწე გრიაზნოვი და ამ საქმის ასრულება მიანდო თავის თავმჯდომარეს ს. ჯიბლაძეს. მან გამონახა შესაფერი კაციც და დადგენილება სისრულეში მოიყვანა. ახლა კი მთელი ეს საქმე ბოლშევიკებმა მიაწერეს კობას! მისმა ფარეშმა კ. ცინცაძემ ამ მიზნით მთელი ზღაპარი შესთხზა და დაბეჭდა.

ამნაირათ, პირველ რევოლიუციაში აშკარათ გამოირკვა ქართველი ბოლშევიკების ხალხისაგან მოწყვეტა და თავის ვიწრო ჯგუფში ჩაკეტვა. ამიტომ რა გასაკვირალია, მათ დაკარგოდათ ყოველივე გავლენა ხალხში და სექტათ გადაქცეულიყო. ეს რასაკვირელია, ხელს არ უშლიდა ამ სექტაშიაც ყოფილიყო მუდმივი შუღლი სტალინს და მახარაძეს შორის პირველობისათვის. მათ შორის ისე გამწვავდა ურთიერთობა, რომ ერთხელ სილვას ბინაზე ერთი მეორეზე წაიწიენ და მასპინძელს მოუხდა მათი გაზავება. სტალინი იძულებული გახდა გადასულიყო ბაქოში და იქ რუსის მუშებს შორის მოეპოვებია შესაფერი ნიადაგი. მაგრამ აქ ის შეეჩეხა ბოლშევიკური ორგანიზაციის ლიდერს შაუმიანს და მათ შორის გაჩაღდა მორიგი კინკლაობა პირველობისათვის.

ყველა ბოლშევიკ-ინტელიგენტის საერთო თვისებაა თავიდანვე—ძალაუფლების ხელში ჩაგდება რითაც კი შეიძლება. ეს წყურვილი სხვისი მართვის იმ ხანათ მომწყვდეული იყო პარტიის ფარგლებში. ორი ლიდერობაზე პრედენდეტი, შაუმიანი და სტალინი, შეიტაკენ. პირველი იყო ანჩხლი, იცოდა გულის მოსვლა კამათში, კრების დატოვება, შემობრუნება, პირში მთქმელი, გულწრფელი. კობა კი, პირიქით, გულჩახოული, აუჩქარებელი, დინჯი, ხმასაც კი არ აიმაღლებდა, რას ფიქრობდა არავინ იცოდა, შეურაცხყოფაზე მაშინვე არას გიპასუხებდა, მაგრამ ის არ ავიწყდებოდა და უცდიდა მოთმინებით ხელსაყრელ მომენტს სამაგიეროს გადასახდელათ. ამ ორი პიროვნების ბრძოლის ხანაში, დაიჭირეს შაუმიანი. მისმა მომხრეებმა ხმა გაავრცელეს სტალინმა დააბეზღაო. რამოდენიმე წლის შემდეგ შაუმიანს შევხვდი და ვკითხე, რამდენათ საფუძვლიანი იყო ეს ხმები. მან მიპასუხა: მე ახლაც დარწმუნებული ვარ მის სიმართლეში, საბუთიც მაქვს; როცა ჩავერიე, გახსნა: მე მქონდა ერთი მეტათ კონსპირატიული ბინა, სადაც ხანდახან ღამეს ვათევდი, მისი მისამართი იცოდა ერთათ-ერთ კობამ, როგორც კი დამიჭირეს, მკითხეს ამ ბინის შესახებო .. მთელი ეს ბრალდება საეჭვოთ მიმაჩნდა და მიმაჩნია; საყურადღებოა ეს მხოლოდ იმ მხრით, რომ სტალინს მისი უახლოვესი თანამებრძოლნი თვლიდენ ისეთ პიროვნებათ, რომელიც პირადი ამბიციის დასაკმაყოფილებლათ არავითარ საშუალებას არ დაერიდება.

პარტიის გაერთიანებიდან (1906 წ.) ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები ხშირათ მართავდენ საერთო ყრილობებს, მაგრამ არც ერთ ამათგანზე სტალინი არ გამოუგზავნიათ დელეგატათ, მას მისი ფრაქცია პოლიტიკურ მანდატებს არ აძლევდა, ხოლო შაუმიანი და სხვები კი ხშირათ ესწრებოდენ. კობაც არ იყო ამით დიდათ შეწუხებული, ყველა ეს კრებები სიტყვის რახა-რუხათ მიაჩნდა და კმაყოფილდებოდა თავისი ერთგული ყარაჩოღლური ჯგუფით, რომელსაც საექსო საქმეებზე აგზავნიდა (ჭიათურა, კოჯორი, თფილისი, გორი და სხვ.), თვითონ კი კულისებში რჩებოდა, გამკარგულებლათ. ის პარტიის ორ ყრილობაზე—სტოკჰოლმის და ლონდონის—გამოცხადდა მანდატით, მაგრამ ორივე შემთხვევაში მისი მანდატები ყალბი აღმოჩნდა და მხოლოთ სათათბირო ხმით დაუშვეს. მაგრამ ექსების მეოხებით ისეთი ნდობა დაიმსახურა ლენინის, რომ ზოგ ჭუჭყიანი საქმეების გაკეთებას მას ანდობდა, როგორიცაა მაგალ. მესამე დუმის ს.-დ. ფრაქციის გათიშვა, აყალ-მაყალის ატეხა და სხვა.

აი ეს სტალინი, პატარა ცოდნით და დიდი ამბიციით, ფრაქციულ და ჯგუფურ ბრძოლაში გამობრძნილი, შევიდა 1917 წ. რევოლიუციაში, პეტროგრადში. ის პირველი გაყვა ლენინის ახალ გზას, ძველი ბოლშევიზმის გაუქმებას და კომუნისტური პარტიის დაარსებას და მით დაიმსახურა მფარველისაგან შესაფერი ჯილდო—პარტიის მდივნობა. ეს თანამდებობა ლენინის სიცოცხლეში უბრალო ტექნიკური ფუნქცია იყო, ლიდერის ნება-სურვილის ამსრულებელი.

ლენინის გადაცვლამ დააყენა მისი მემკვიდრეობის საკითხი. ბუნებრივი პრეტენდენტები იყვენ ლენინის ძველი თანამებრძოლნი—ზინოვიევი, კამენევი და ახლათ გალენინებული ტროცკი. მაგრამ განიდან ამავე მემკვიდრეობას უთვალთვალებდა ქართველი ყარაჩოღელი. მათ შორის გაიმართა ბრძოლა.

რით შეეძლო სტალინს ამ ბრძოლის მოგება? მას არ ქონდა არც პოლიტიკური, არც ლიტერატურული, არც მორალური ავტორიტეტი; პარტიის ფართე წრეები მას არც კი იცნობდენ. მისი მონაწილეობა სამოქალაქო ომში არავითარ უპირატესობას არ აძლევდა მრავალ სხვა თანამებრძოლებზე. დარჩა ერათ ერთი გზა, გზა ნაცადი, უტყუარი, დავის გადამწყვეტი, გზა ორგანიზაციული აწყობის და ჩაწყობის. პარტიის უმრავლესობა უნდა მიმხრობოდა სტალინს და ის აღიარებია ლიდერათ. როგორ?

ლენინი სტალინივით უარყოფდა ხალხის სუვერენობას, მასის დემოკრატიას, მაგრამ აღიარებდა თავის პარტიის დემოკრატიას, პარტიის შიგნით თავისუფალ დისკუსიას და ხმის უმეტესობით საკითხების გადაჭრას. ის არაერთხელ ყოფილა უმცირესობაში თავისავე ფრაქციაში; მაგრამ მას არასოდეს არ უცდია თავისი ფრაქციის თუ პარტიის «გაწმენდა», ე. ი. ურჩთა განდევნა და თავისი მომხრე უმრავლესობის ხელოვნურათ შეყენება. ის მაინც რჩებოდა ლიდერი, მიუხედავათ ყოველნაირი უთანხმოებისა.

სტალინმა სავსებით შეაბრუნა ეს ლენინური პარტიული დოქტრინა და გადასწყვიტა ორგანიზაციული ზომებით თავისი საკუთარი პარტიის შედგენა. მან სავსესით მიიღო ლენინის დებულება—მე უნდა ვმართო ქვეყანა პარტიის საშუალებითო, მხოლოდ ამისათვის აუცილებელი გახდა თვით პარტიის მისადმი ერთგულება, მისთვის დამორჩილება. ხოლო ეს კი შესაძლებელი იყო ორგანიზაციულ-პოლიციური ზომებით. ამ მიზნით მან დაიწყო მოსკოვიდან დანიშვნა ყველა საგუბერნიო და საქალაქო

სიძულვილით. კრილოვის ერთი არაკის მზგავსად გედი მიილტვის ღრუბლებისაკენ, კიბო უკან იხევს, ხოლო ორაგული წყლისკენ მიექანება. ამ უმიზნო და უშინაარსო ბლოკის წინააღმდეგ დარაზმულია ერთფეროვანი და გაწვრთნილი ჯარი. გამოცდილი ოფიცრობის მეთაურობით. ეს უკანასკნელი მოხერხებულათ სარგებლობს კომუნისტ-ანარქისტების დამარღვეველი საქმიანობით და ნელ-ნელა იპყრობს პოზიციებს. გამოჩენილი ბასკი მწერალი უნამუნო ერთ დროს ამბობდა: ისპანეთის ახალ ცივილიზაციის გზაზე დადგომა შეუძლებელია სანამ მის ბედს სამხედრო ძალები განაგებენო. დღეს ის საქვეყნოთ აღიარებს: ჩემი ქვეყნის გადარჩენა დღეს მხოლოდ სამხედრო ძალას შეუძლია, რადგან მხოლოდ იქ არის თავმოყრილი საღი ეროვნული ძალებიო. ისპანეთის პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე ანარქო-კომუნისტური რეაქციის ამოტივტივებამ რადიკალურად შეუცვალა პოეტს აზრი. ის ფაქტი, რომ მთავრობის ძალები უძლური ხდებიან ალკვეთონ ანარქისტ-კომუნისტების კრიმინალური მოპყრობა ადამიანთა სიცოცხლისა და ქონებისადმი, აჯანყებულ გენერლებს აკერებს ისპანეთის მხსნელის ეტიკეტს. ქალაქ ირონის ტრაგიკული ბედი გვიჩვენებს, რომ სახალხო ფრონტის ერთი ნაწილი მეტად საეჭვო და ბნელ ძალას წარმოადგენს.

ჩვენი დროის სოციალისტური მოძრაობა კარგი ხანია ასეთი არჩევანის წინაშე სდგას: ან გაქრობა და ან დემოკრატიის დაცვა და ამ გზით სოციალური ტრანსფორმაციის მზადება. სამწუხაროთ მან არჩევანი ვერ მოახდინა. მისი პოლიტიკა გაიბზარა, საბედისწერო დუალიზმში გადაიჩეხა. ის განაგრძობს კომუნისტებთან საერთო ენის ძიებას, მიუხედავათ ამ უკანასკნელთა დაუნდობელი და მუხანათური ბრძოლისა დემოკრატიული სოციალიზმის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგემ ერთ ლოყაზე გაგარტყას, მეორე უჩვენე - რაღაც იდეოლოგიური ირონიის წყალობით მარქსისტულ ენებათ გამოცხადდა. მტერს მტრულად არავინ დახვდა. ყველამ უწყის, რომ საერთო ფრონტი კრემლის საშინაო და დიპლომატიურ საჭიროებათათვის იქნა გამოგონილი. კომინტერნის მეშვიდე კონგრესი გაჭირვებამ ააჭიკჭიკა ბულბულის ხმაზე. ანკესი მოხერხებულათ იქნა გადმოსროლილი. მასზე წამოეგო ზოგი სოციალისტური პარტია. კიდევ მეტი. კატალონიის სოციალისტები ორგანიულათ გაუართიანდენ კომუნისტებს და მათთან ერთად მოსკოვის ინტერნაციონალში ამოყვეს თავი. სამოქალაქო ომის ცეცხლში ისპანეთში შესდგა «წმინდა სოციალისტური» მთავრობა. მისი თავმჯდომარე მემარცხენე სოციალისტი ლარგო კაბალერო აცხადებდა: მით უარესი აჯანყებულთათვის; არ დაგვაცალეს კანონიერი სახელმწიფო მშენებლობა, ახლა საბჭოების სისტემას დავადგებით, რომ ძველი ნაშთი სავსებით აღიგავოს ისპანეთის ხსენებიდანო. ტყვილა კი არ უწოდებენ მას ისპანეთის ლენინს. ეს სიტყვები სრულიად არ ამაგრებს სოციალისტების პოზიციას. ძველის აღმოფხვრა კარგია, მაგრამ საბჭოების სისტემა აღმოფხრავს აგრეთვე ყოველივე ხალხურს, მუშურს, დემოკრატულს. მისი პირველი მსხვერპლი პროლეტარული დემოკრატიაა და ამიტომ დაშინებული მასა ჰკარგავს თავდაცვის უნარს და უკეთეს შემთხვევაში აჯანყებულებს გამარჯვებას უადვილებს. გენერალი ფრანკო უკეთეს პროპაგანდისტს ვერც ისურვებდა თავის საქმისათვის.

ამრიგად, ტრაგიკული მაგალითები დღითი დღე ადასტურებენ ჩვენი პარტიის ხაზის სისწორეს. გარკვეული დემოკრატიული პროგრამით ბრძოლა ყველა ჯურის რეაქციის წინააღმდეგ, იქნება ის წითელი თუ შავი. ორივე თანასწორად ანადგურებს ხალხის თავისუფლებას, მის სუვერენობას და მის სიცოცხლეს. ერთი მათგანის დაკავშირება მეორეს წინააღმდეგ ნიშნავს საკუთარი ძალების დაკარგვას ერთი მათგანის სასარგებლოთ. ისპანეთის სოციალისტებმა მოინდომეს შეურიგებელის შერიგება, შექმნეს ანარქო-კომუნისტური რეაქციის საშიშროება; ამ გარემოებამ წყალი დაასხა მემარჯვენეთა წისქვილზე. ამბობენ ისპანეთის დემოკრატიის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან ვერ მოახდინა ჯარის და ადმინისტრაციის გაწმენდა. ეს დღევანდელი ტრაგედიის მეტად ზარმაცი და ზერელი ახსნაა. ერთი გადაყენებული გენერლის ან გუბერნატორის ადგილს მეორე დაიჭერდა და სახალხო ფრონტის შინა სიმახინჯეს სამოქალაქო გამწვავება მაინც მოჰყვებოდა. მიზეზი უფრო ღრმა, სოციალური ხასიათისაა და მასზე თვალის დახუჭვა დანაშაულს უდრის.

ვ. ი.

◆

ზოგი რამ

ვის არ მოეხსენება მოხუც ტროცკის ოდისეა, რომელსაც მისმა მეგობარმა სტალინმა რუსეთში ყველა დასაყრდენობი გამოაცალა და ბოლოს უცხოეთში გამოხიზნა. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ის შეიბრალა ნორვეგიის მთავრობამ და ნება დართო ამ ქვეყნის პანორამის ცქერით დაევიწყებია მიწიერი უმადურობა. ხოლო მას თავისი უძლური ინტრიგებიდან თავი უნდა შეეკავებია, რომ ამ მშვიდობიან ხალხისათვის შინაგანი თუ საგარეო მშვიდობიანობა არ დაერღვია. მაგრამ ტროცკი კუზიანია, ხოლო ვინ არ უწყის რომ ამ ავადმყოფობას მხოლოდ სამარე არჩენს! ის განაგრძობს თავის «იკარიაზე» ოცნებას. ნორვეგიის გაზეთები აქვეყნებენ სენსაციურ ცნობებს ამ «პერმანენტული რევოლიუციის» კუზიანი დოქტრინიორის საქმიანობიდან. ნორვეგიის «ეროვნული გაერთიანების» (ფაშისტების პარტია) რამდენიმე წევრი, პოლიციის ფორმით გამოცხადდენ მის ბინაზე და გაჩხრიკეს იგი. წაიღეს მეტად საგულისხმო დოკუმენტები. აქ ტროცკი ერთხელ კიდევ წინასწარმეტყველობს მსოფლიო რევოლიუციის მოახლოებას. ის განსაკუთრებული რისხვით ემუქრება ბლიუმის მთავრობას, რომლის დღეები თურმე დათვლილია. მას თურმე ხალხური ზღვა წალეკავს და ქვეყანას საბჭოები დაეუფლებიან. ასევე მოხდება ისპანეთში და სხვაგან. ფიქრობენ, მართალია ტროცკი ცდებოდა, მაგრამ მის შეცდომას შემამსუბუქებელი გარემოება ახლავს რამდენად მას გულწრფელათ სწამდა, რასაც აკეთებდაო. მაგრამ, რაკი მან იხილა ის უბედურება, რომელიც მისმა და ლენინის რომანტიკამ მოგვარა რუსეთის ხალხს; მას შემდეგ, რაც მან და ყველა მისმა თანამოაზრეებმა ვულგარული «კონტრ-რევოლიუციონერების» ბედი გაიზიარეს, მას არ ქონდა უფლება არ გაეგო თავის მოძღვრების დამღუპველი ხასიათი. რუსეთს გარდა ლენინ-ტროცკიმ დაანგრიეს ჩინეთი, დაამარცხეს დემოკრატია ევროპის მრავალ ქვეყნებში, მაგრამ ტროცკი განაგრძობს საბჭოების ქადაგებას, პერმანენტულ რევოლიუციისკენ მოწოდებას და დემოკრატიის მტრების გაძლიერებას. ამასვე ემსახურება მისი მე 4 ინტერნაციონალი. სტალინმა შესცვალა პოლიტიკა. ის გადავიდა დიპლომატიური ჯელტმენობის გზაზე და კომინტერნს გადაულოცა ყველა ბნელი საქმეები. ის ცდილობს სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის მეორეზე წასისიანებას და ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას. ტროცკი დარჩა ძველი სამოქალაქო ომის და ნგრევის აშკარა გზაზე. გაიყო გზები, ხოლო მიზანი დარჩა საერთო—ყოველი საშვალებით დემოკრატიის განადგურება. იბადება კითხვა: რა საფასურით ასრულებს სტალინის შინაკაცობას ეს გაუბედურებული სახოვნიკი? ნუ თუ იმდენათ შემოიფარგლა მისი ცნობიერების არე, რომ ვერ ხედავს რა შავი არშიით დაისარტყლა ევროპის უდიდესი ნაწილი მისი და მის მოძმეთა პოლიტიკანობის წყალობით?!

⁂

სხვა ცოცხალ ორგანიზმებიდან ადამიანი განსხვავდება რთული სულიერი ცხოვრებით, რაც, განსაზღვრული იდეალის სახით შინაარს აძლევს მის არსებობას. ის იბრძვის ამ იდეალის მისაღწევათ და თავს სწირავს მას. ხოლო როცა ბრძოლის საგანი ვიწრო პიროვნულია; როცა მისი მოტივი პატივმოყვარეობაა, მას შინაარსი ეკარგება და მებრძოლს გამძლეობა. იქ აღარ არის ღირსება და სილამაზე. ზინოვიევ-კამენევის გასამართლება ამის საუკეთესო სურათია. ეს ფენომენები არ დაკმაყოფილდენ თავიანთ ცოდვების მონანიებით; ისინი უხვად და ურცხვად ასახლებდენ ყველას, ვინც მათ აზრს იზიარებდა. აამუშავეს გეპეუს აგენტები და თავისი ბედი სხვებს უხვად გაუზიარეს. ასე ლაჩარია ყველა პატივმოყვარე ავანტიურისტი. ასეთია ყოველ იდეალს მოკლებული ბრძოლის და ინტრიგის ბოლო. უნებურათ ადარებ ამ გადაშენებულ ხალხის საქციელს ჩვენი მამაცი პარტიის ბრძოლას, მისი შეუდრეკელი მუშაკების წარბშეუხრელ სიკვდილს წმინდა საქმისათვის და თვალწინ გიდგება ბოლშევიკურ დეგენერატების სულმოკლეობა და სიმდაბლე. სტალინი ცდილობს რობესპიერობას, ხოლო ეშინია მისი ხვედრის. მან ყოველგვარი გონიერების მიუხედავათ დახვრიტა თავისი ძველი მეგობრები, რითაც თვალი აუხილა ბევრს ურწმუნო თომას. დღეს ყველა, ცოტათ თუ ბევრათ მოაზროვნე ევროპიელი რწმუნდება სტალინიზმის რეაქციონურ ბუნებაში. გარეშე საზოგადოებრივი აზრისათვის უფრო ადვილია იქ მომხდარი ბარბაროსობის არ დაჯერება, ვიდრე მისი გაგება და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ზინოვიევ-კამენევის გასამართლება და მათი ხვედრი საუკეთესოთ ააშკარავებს საბჭოთა მახინჯ სინამდვილეს. მტერი თვით ნადგურდება შიგნით, ახლა ფარდა ეხდება მის სიმახინჯეს გარეთ.

⁂

სოციალისტურ და პროფესიონალურ ინტერნაციონალის ბიუროებმა საჭიროთ დაინახეს შინაბოლშევიკურ დრამაში ჩარეულიყვენ. მათ კრემლს მიმართეს წინადადებით გასამართლება საჯაროთ მოეხდინა და ბრალდებულთათვის უფლება მიეცა უცხოელი დამცველები აერჩიათ. პროცესის დამთავრებამდი მოსკოვი სდუმდა. ბრალდებულთა დახვრეტის შემდეგ «პრავდამ» ასტეხა განგაში. მისი პასუხი უებარ მალამოს წარმოადგენს ინტერნაციონალის ბოლშევიზანურ ავადმყოფობისათვის. გაზეთი მიმართვას უწოდებს რუსეთის საქმეებში თავხედურ ჩარევას და ასკვნის: «დებრუკერი, ადლერი, სიტრინი და შევენელსი (რომლებიც ხელს აწერდენ დოკუმენტს ვ.) ცდილობენ სამარცხვინო პირფერობით დაფარონ მათი სოლიდარობა ტროცკი-ზინოვიევის ტერორისტულ ჯგუფთან. ეს არის მეორე ინტერნაციონალის საზიზღარი ვექილების საძაგელი მანიფესტაცია»-ო. ინტერნაციონალის წრეები სახტათ დარჩენ. ასეთ უდიერ პასუხს გულწრფელათ არ ელოდენ. სტალინმა დაუშვა მეორე დიდი და საბედისწერო შეცდომა. ბრალდებულთა დახვრეტით მან ერთხელ კიდევ გააშიშვლა თავის საზიზღარი სახე, ხოლო ამ პასუხით ინტერნაციონალის მშვიდობიან მიმართვაზე ფარდა ახადა მისი «საერთო ფრონტის» თვალთმაქცობას. მისი პრაქტიკული გონების მიუხედავათ სტალინი იხლართება საბედისწერო შეცდომების ქსელში. სასიკვდილოთ განწირულ რომის იმპერიის მეთაურთ სწორეთ ასეთი დაბნეულობა ახასიათებდა. ჩვენი ბოლშევიზანები თანდათან რწმუნდებიან, რომ მგელის მოშინაურება ბუნების წინააღმდეგია.

⁂

27 აგვისტოს დადებული ხელშეკრულებით ინგლის-ეგვიპტეს დამოკიდებულება საბოლოოთ ნორმალურ სახეს იღებს. მოლაპარაკება გრძელდებოდა შვიდი თვე და დასრულდა ეგვიპტეს სრული დამოუკიდებლობის ცნობით. ინგლისი რჩება მისი უახლოესი მეგობარი და ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს მას შინაურ სახელმწიფოებრივ კეთილმოწყობაში. მას რჩება უფლება ჯარი იყოლიოს მხოლოთ სუეცის არხის მიდამოებში, რადგან ეს უკანასკნელი ბრიტანეთის იმპერიის მიმოსვლის გასაღებია. ორ სახელმწიფოს შორის მყარდება ნორმალური დიპლომატიური დამოკიდებულება და ინგლისის ყოფილი უმაღლესი კომისარი ეგვიპტეში ღებულობს ელჩის უფლებებს. ასე მშვიდობიანათ მოხდა ამ ძველი ერის ემანსიპაცია და საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიან წევრათ შესვლა. მიზეზი? დემოკრატიულ ინგლისის პოლიტიკის გადამჭრელი ფაქტორი საზოგადოებრივი აზრია. სუვერენული ხალხის სიძლიერემ შექმნა თავისუფლების კულტი, რაც მართლაც ამზადებს ყველა კოლონიების და დომინიონების მშვიდობიან განთავისუფლებას. ეგვიპტეს განთავისუფლებით მან გასწმინდა მოსალოდნელი გართულებებიდან იმპერიის მთავარი სამიმოსვლო გზა. მან ხელი აიღო ისეთ ქვეყანაზე, როგორიც ეგვიპტეა, მაგრამ ამით თავისი მდგომარეობა უფრო განამტკიცა ხმელთა შუა ზღვაში. ამით მან ასწია საკუთარი პრესტიჟი ამ ქვეყნის თვალში. დარჩა მისი საუკეთესო მეგობარი და სარგებლობს ამ მეგობრობიდან გამომდინარე პრივილეგიებით. სწორეთ ამ დროს, კომუნიზმის სახელით ფეხქვეშ ითელება მეორე ძველი ერის, საქართველოს დამოუკიდებლობა. რა გაუვალი მანძილია მეფის ინგლისსა და კომუნისტურ რუსეთს შორის?!..

ვალ.

◆

«პრომეთე»

«პრომეთე»-ს უკანასკნელ №-ში (117) მოთავსებულია გ. გვაზავას წერილი, რამაც მეტად გაგვაკვირვა. გვინდა ვიცოდეთ ვისია ეს ორგანო, ვინაა მისი პასუხისმგებელი და აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ ორგანოსთან კავკასიის კონფედერატულ საბჭოს?

ამავე ნომერში დაბეჭდილია ნ. ჟორდანიას წერილი—«ნაწყალობევი კონსტიტუცია», რომელიც წინეთ დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის მე 64 ნომერში. «პრომეთე» ბეჭდავს მას ისე, რომ არც კი აღნიშნავს ამას…

◆

პარტიაში

4 ოქტომბერს პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციაში ამხ. ევ. გეგეჭკორმა წაიკითხა მოხსენება «საბჭოთა კონსტიტუციის» შესახებ. ამ საინტერესო მოხსენების შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხანაგების მთელმა რიგმა.

უადგილობის გამო შემდეგი ნომრისთვის გადაიდო «პრესის მიმოხილვა».

გამოვიდა და იყიდება
ივ. ზურაბიშვილის წიგნი
საქართველოს საერთაშორ. მდგომარეობა
ფასი 4 ფრანკი.

პარტიული ცენტრების სეკრეტრების, ხოლო ეს სეკრეტრები ნიშნავდენ თავის მხრით ყველა მათი ხელქვეითი ორგანიზაციების მდივნებს. ესენი კი აღჭურვილნი იყვენ განუსაზღვრელი უფლებებით არა მარტო პარტიის, არამედ ყველა სფეროებში. პარტიული ყრილობის შემადგენლობა ამით წინასწარ ისაზღვრებოდა, ის შედგებოდა სტალინის აგენტებისაგან. თავისი სეკრეტარიატი მან გადააქცია პოლიციის დეპარტამენტათ, რომლის მხედველობაში დააყენა მთელი პარტია. თვითეულ ცნობილ ბოლშევიკზე აქ დგებოდა მთელი «საქმე», ვინ როდის რას აკეთებდა, ვინ საეჭვო ღირსების იყო და სხ. ყურს მოიხმობდა და პირველ გაფრთხილებას აძლევდა. როგორც კი ძველ ბოლშევიკს პეტროვსკის თავისი აზრი გამოაჩნდა პარტიულ საკითხებზე, გამოიწვია სტალინმა და გამოუცხადა: შენზე ცუდი ცნობებია, ისპრავნიკთან გიქეიფია, ფრთხილათ იყავი, თავს მოუარე… შეშინებულ პეტროვსკის ენა მუცელში ჩაუვარდა. ოპოზიციონერობა ხელათ გაუქრა. (სტალინი რასპუტინივით ყველას შენობით ელაპარაკება). პარტიის მე 14 ყრილობაზე (1925 წ.) ზინოვიევი ამაოთ ითხოვდა—«მიეცეს ლენინგრადის ორგანიზაციას უფლება თავისი ხელმძღვანელების არჩევის»-ო. სტალინურათ ჩაწყობილმა ყრილობამ ურას ძახილით დაადასტურა თავის შეფის ნაბიჯები. ასე გამოაცალა ხელიდან ლილოელ გლეხმა მსწავლულ ლიდერებს პარტია და მით მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ეს მოხდა არა სტალინის დიდკაცობით, არამედ მოწინააღმდეგეთა სიგლახაკით.

და მართლაც, პირისპირ იდგენ ერთი მხრით სტალინი, კაცი მშრალი გულის, ვიწრო ჭკუის, უზომო ამბიციის, ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის და ქართულ ორგანიზაციებში გამოცდილი. მეორე მხრით ლიტერატორები, მუდმივი ემიგრანტები, ჟენევის და ვევეს ქუჩების მუდმივი მტკეპნელნი და საწერ-კალამით თავის შემქცევნი. არც ერთ მათგანს მონაწილეობა არ მიუღია პრაქტიკულ რევოლიუციურ მუშაობაში, არ აუწყვია არც ერთი არალეგალური ორგანიზაცია, არ მოდიოდენ უცხოეთიდან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებათ, ერთი სიტყვით, არ ქონდათ არავითარი სტაჟი არც ორგანიზატორის, არც პროპაგანდისტის, არც აგიტატორის, არავითარი გარდა, ლიტერატორობისა. ტროცკის უეცარი ხანმოკლე მუშაობა პეტროგრადის მუშათა საბჭოში 1905 წ., დაჭირვა, გადასახლება და გაქცევა ვერ მისცემდა მას ორგანიზაციულ გამოცდილებას. ჯუღაშვილს ეს ხალხი თავიდანვე ეჯავრებოდა, როგორც მოლაყბენი, მოშიშარნი და ბრძოლის ველიდან გაქცეულნი. მართალია ლენინიც მუდმივი ემიგრანტი იყო, მაგრამ ის იყო არა მარტო ლიტერატორი, არამედ ამასთანავე პარტიის მთავარი ორგანიზატორიც. საზოგადოთ, საქართველოს სოც.-დემ. ორგანიზაციებში საქმის ბატონათ და პატრონათ თვლიდენ ადგილობრივ მომუშავეთ, ხოლო უცხოეთში გახიზნულ ამხანაგებიდან მხოლოდ ლიტერატურას ღებულობდენ. თვით ადგილობრივ ციხეებში დამწყვდეულ ამხანაგებსაც კი, რაგინდ დიდი ლიდერი ყოფილიყო მათ შორის, არ ეკითხებოდენ პრაქტიკულ რჩევას, ბრძოლის და მოქმედების დირექტივებს. სტალინმა ამ საერთო შეხედულობას მიუმატა თავისი პირადი თვისებები, პიროვნული ამბიცია და სამეტოქეო შური. განსაკუთრებით მას ეჯავრებოდა ტროცკი, რომელსაც უწოდებდა «დიდი ფრაზის და მცირე საქმის» კაცს. ეს შეხედულობა სავსებით გაამართლა მან რევოლიუციის პერიოდში. ტროცკის სრულიად უსაბუთოთ დაუვარდა სახელი «დიდი ორგანიზატორის». ეს ეჩვენებოდა საზოგადოებას ამნაირათ ლენინის დროს, ე. ი. ასეთი იყო თვით ლენინი, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობდა ტროცკი. მაგრამ როგორც კი ეს ბეჭე გამოეცალა, ულენინოთ დარჩა, დარჩა ის უმწეოთ, მოკლებული ნებისყოფას, გადამჭრელ მოქმედებას, ფრაზების და სიტყვიერების დაუხსნელ ტყვეთ. მის ხელში იყო მთელი ძალა, მთელი მხედრობა, ხოლო სტალინმა ისე გამოაცალა ხელიდან ეს ძალა, მთელი პარტია, რომ არც კი შეუტყვია მოსკოვიდან, და შემდეგ რუსეთიდან, გამოძევებამდე. სტალინს იძულებითი აპარატები, ტროცკი-ზინოვიევის კამპანიას ცარიელი სიტყვები. პრაქტიკი და თეორეტიკები შეიტაკენ პრაქტიკულ საკითხებში და გამარჯვება დარჩა პრაქტიკს. ეს სრულიად ბუნებრივი, ლოღიკური მოვლენაა. ქართველმა თხამ რუსის დათვები დაჭამა. ის რაც ვერასოდეს ვერ მოაწყო საქართველოში, ჩინებულათ მოაჭახრაკა რუსეთში. და ეს მოახდინა მან იმავე მეთოდით, რომელსაც ხმარობდა საქართველოში. პარტიაში შექმნა საკუთარი ორგანიზაცია, მორჩილი, ვიწრო, მაგრამ მომქმედი აპარატი, აპარატი ყოვლად შემძლე სეკრეტრების და მისი საშუალებით დაეპატრონა პარტიას, ხოლო პარტიის საშუალებით სახელმწიფოს. რასაკვირველია, მის წინააღმდეგ გამოჩენილიყო მოსკოვში ვინმე ორგანიზატორი, მსგავსი ნ. ხომერიკისა და ნ. რამიშვილისა, ის აქაც ისე დამარცხდებოდა, როგორც დამარცხდა სამშობლოში. მაგრამ მის წინააღმდეგ დარჩენ გამოუცდელი, უხერხემალო ემიგრანტები და ამ უძაღლო ქვეყანაში ქართული კატა აყეფდა.

ამნაირათ, სტალინის გამარჯვება ნიშნავს პარტიის პრაქტიკი—ყარაჩოღლური ფრთის გამარჯვებას და პოლიტიკურ კულტურული ფრთის დამარცხებას. პარტიაში გადამჭრელი როლი მიენიჭა არა აზრს, სწორ პრინციპებს, არამედ ძალას, რევოლვერს. პარტია გადაეწყო ამ პოლიციურ ხაზზე; ერთად შემოკრბენ ცნობილი მაუზერისტები, მტლანქი ძალადობის თაყვანის მცემელნი, გამოსარჩენი ადგილის და კარგი ცხოვრების მაძიებელნი, ყველა გამოჩენილი უცნობნი, სხვისი ჭირის ლობეს ჩხირის მლალადებელნი. ეს მაგრათ შეკრული საზოგადოებაა, უფრო მაგრათ ვინემ იყო ნაპოლეონ მესამის «10 დეკემბრის საზოგადოება». ის შეიცავს პარტიის არა უმეტეს ათი პროცენტისა, მხოლოდ მის ზედაფენას, რომლის განკარგულებაშია ყველა დანარჩენი პარტიელები. ლენინური პარტია, პარტია თავისუფალ ადამიანთა. დიდი ხანია მოისპო. მისი ალაგი დაიჭირა სტალინის პარტიამ, არათავისუფალ ადამიანთა კრებულმა, მეთაურის ბრძანების ყურმოჭრილ ამსრულებელმა. გეპეუს განუმკითხავ განკარგულებაში მყოფმა. ე. ი. პარტია როგორც ამნაირი არ არსებობს, ის რასაც პარტიას ეძახიან ფიქციაა, რეალობაა სტალინი, მისი ამალა და გეპეუ. პიროვნული დიქტატურა გამეფდა. ახლა კი აშკარაა, რომ არც ეს დაპყრობილი პარტია აკმაყოფილებს მას და მიილტვის მისი სრული ლიკვიდაციისაკენ. ის ეძებს თავის დასაყრდენობს «უპარტიო ბოლშევიკებში», ე. ი. გეპეუსა და ჯარში.

ამნაირათ, სტალინს ამოძრავებს, ატოკებს ერთათერთი მიზანი—ბატონობა, ადამიანთა მართველობა. მას სრულიად არ აინტერესებს ადამიანი როგორც ამნაირი, მისი ყოფა-ცხოვრება, მისი ინტერესები და მოთხოვნილებანი; ის მისთვის არის მხოლოდ მასალა, საფეხური, რომლითაც უნდა ამაღლდეს და თავზე დააჯდეს. და ეს არა პირადი გამორჩენისათვის, კარგი ცხოვრებისათვის, მსგავსათ მთელი მის ირგვლივ თავმოყრილი «საზოგადოებისა», არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავის ამბიციის დასაკმაყოფილებლათ, თავისი სულის დასამშვიდებლათ, თავისი ბატონობის წყურვილის მოსაკლავათ. ადამიანთ მოდგმა მას ჭირივით ეჯავრება და რაც უფრო კისერს მოუგრეხს მას მით მეტ დაკმაყოფილებას პოვებს. მან არ იცის მხიარულება, იცინის იშვიათათ, მისი სიცილი ნაღვლიანობას გავს. მისთვის «კვალს» არ აერია ბუნებრივი გზა უეჭველია იქნებოდა სადმე უდაბნოში დაყუდებული ბერი, კაცთმოძულე და მიზანტროპი. რაკი ეს გზა მას დაეკარგა და გახდა ადამიანთა «მწყემსი»—ასრულებს ამას თანახმათ თავისი ბუნებისა, ადამიანისადმი ზიზღით, თავისი პრეტენზიების უსაშველოთ გაბერვით. როგორც ძუნწს უხარია ფულის მოგროვება და შენახვა, ისე სტალინს უხარია რაც შეიძლება მეტი უფლების თავის ხელში დაგროვება და მისი შენახვა. ეს პროცესი თავისთავათ იტაცებს და ასულდგმულებს; ის ამის ფანატიკია. რაც კი ამ გზაზე მას გამოადგება, მისი სათაყვანო საგანია. აქ მან დახევა არ იცის; პიროვნულათ უანგარო, პოლიტიკურათ ყოვლად უმორალოა, ყველა საშუალება მისთვის მისაღებია. მას ყოველთვის ქონდა სია იმ ამხანაგებისა, რომლის გავლენა პარტიაში უნდა დაეცა; ახლა როცა ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალა, ყოველთვის აქვს სია ნამდვილი თუ მოსალოდნელი კონკურენტებისა და თან გათვალისწინებული აქვს როდის ვინ ამათგანი უნდა მოკვდეს. ის არის ტიპი ცეზარი ბორჯიასი, დაუნდობელი, დაუზოგველი, გაუტანელი. ყველა მის მიერ გატარებული ზომა—ეკონომიური, ფინანსიური, პოლიტიკური და დიპლომატიური—მიზნათ ისახავს არა ხალხის კეთილდღეობას, არამედ თავისი ხელისუფლების გამაგრებას და გახანგრძლივებას. ამ ხაზზე გააკეთებს მრავალნაირ მიხვევ მოხვევას ოღონდ ძალაუფლება შეინარჩუნოს. მასში დგას სული ძველი დესპოტების.

ახლა მგონი გასაგებია რათ დასჭირდა სტალინს ცნობილი ბოლშევიკების 16 თავი და დასჭირდება კიდევ მრავალი.

არისტოტელის თქმით კორინთის ტირანს პერიანდრის მოუვიდა მოციქული მილეთის ტირანისაგან—მასწავლე როგორ შევინარჩუნო ძალაუფლებაო. პერიანდრიმ პასუხის მიცემის მაგიერ წაიყვანა ის პურის ყანაში და მარგატლით გადასჭრა თავები ყველა იმ პურის ღეროებს, რომელნიც სხვებზე მაღლა გაზდილიყვენ. მოციქულმა ეს ამბავი გადასცა თავის ბატონს და ისიც მიხვდა ტირანიის საიდუმლოებას.

სტალინი, მარქსის მოწაფეთ გასაღებული, ნამდვილათ აი ამ პერიანდრის ერთგული მოწაფეა. მაღალი დაადაბლე, წინ წაწეული უკან დააქანე, თავ აწეულს თავი წააგდებიე, ყველა დაბალ საფეხურზე დაიყვანე და გაათანაბრე, და ასე დაშინებულ და დალარიბებულ საზოგადოებაზე იბატონე—ყველა ამ სატირანო დოქტრინას გულმოდგინეთ ასრულებს ის.

სტალინს ჯერ კიდევ არ უმღერია გედის სიმღერა…

ნ. ქ.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville*

Le Gérant : René Toussaint.